# საქართველოს რესპუბლიკა

**ხუთშაბათი, 17 მარტი,** 2005 წელი. №61 (5094) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, * ფასი 50 თეთრი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

⊙ პრემიერა

# „გედების ტბის“ ახალი სიცოცხლე

**გუშინ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებელს მორიგი საბალეტო პრემიერა – პეტრე ჩაიკოვსკის „გედების ტბა“ შესთავაზა. იგი მიეძღვნა ლეგენდარული ქართველი მოცეკვავისა და ბალეტმაისტერის ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 95 წლის იუბილეს.**

ეს რიგით მეორე პრემიერაა მას შემდეგ, რაც საბალეტო დასს სათავეში ჩაუდგა სახელოვანი მოცეკვავე ნინო ანანიაშვილი. მან ამჯერადაც დასადგმელად მოიწვია რუსეთის სახალხო არტისტი, ცნობილი მოცეკვავე ალექსეი ფადეეჩევი. მისი ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა, თავის მხრივ, ეყრდნობა მარიუს პეტიპას და ლევ ივანოვის ქორეოგრაფიას.

მაყურებელმა მთავარ პარტიებში იხილა ახალგაზრდა მოცეკვავეები ლალი კანდელაკი და ირაკლი ბახტაძე, ლალი კანდელაკი მრავალი ქორეოგრაფიული დადგმის წამყვანი მოცეკვავეა, თუმცა ოდეტა-ოდილიას პარტია არასოდეს უცეკვია. და აი, მის რეპერტუარს კიდევ ერთი მშვენიერი სახე შეემატა. როტბარტის პარტიაში კი მაყურებელმა დავით ხოზაშვილი იხილა.



სპექტაკლის დამგმელი მხატვრები არიან სანქტ-პეტერბურგის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი მხატვარი, რუსეთის დამსახურებული მხატვარი ვიაჩესლავ ოკუნევი და გიორგი ლაპიაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ „გედების ტბის“ პეტიპასა და ივანოვისეულ ქორეოგრაფიას ხანგრძლივი სცენური სიცოცხლე აქვს, ალექსეი ფადეეჩევმა დადგმა ახლებური რედაქციით წარმოადგინა და ბალეტს ახალი ელფერი შესძინა.

სპექტაკლს დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

⊙ რუბრიკის პრემიერა

„სიტყვა ახალ საუკუნეში" – ამ ახალი რუბრიკით გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" ყოველ პარასკევ დღეს შემოქმედ ახალგაზრდობას წარმოაჩენს.

## ნომერში წაიკითხავთ:

**რას, რატომ და რის საფუძველზე ითხოვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო?**



იხ. მე-6 გვ.

⊙ „გრენლანდია“

## რუსეთის ბაზებს საქართველოდან უახლოესი 3-4 წლის განმავლობაში არ გაიტანენ

**რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრე რუკშინმა განაცხადა, რომ „საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის ვადა – 3-4 წელიწადი – არანაირად არ შემცირდება“.**

„თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის მიერ გამოცხადებული ეს ვადა მინიმალურად აუცილებელია იმისთვის, რომ გავიტანოთ ჩვენი ბაზები ახალქალაქიდან და ბათუმიდან. ეს არის აუცილებელი ვადა საიმისოდ, რომ ცივილიზებული წესით გამოვიყვანოთ საქართველოდან ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები, გამოვიტანოთ შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა და განვალაგოთ ისინი რუსეთში, დისლოკაციის ახალ პუნქტებში“, – აღნიშნა გენერალმა რუკშინმა. ამავე დროს, მან „მიუღებელი“ უწოდა საქართველოს პარლამენტის 10 მარტის დადგენილებას ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნის შესახებ და დასძინა, რომ ამ საკითხის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების დროს საქართველოს მხარე დაჟინებით მოითხოვდა, რომ რუსეთის ბაზებს ქვეყნის ტერიტორია დაეტოვებინათ სამი წლის ვადაში. „საქართველოს პარლამენტს შეუძლია დაასახელოს ნებისმიერი ვადა, ამით ჩვენი პოზიცია არ შეიცვლება“, – თქვა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ.

**„იტარ-ტასსის“ საინფორმაციო სააგენტო, 16 მარტი.**

⊙ ინფორმაცია

### პატივი მიაგეს გმირთა ხსოვნას

**აფხაზეთის** ლეგიტიმური მთავრობის, საქართველოს შს სამინისტროს აფხაზეთის მთავარი სამმართველოს, მეომართა კავშირის, საქართველოს და აფხაზეთის ვეტერანთა დეპარტამენტების წარმომადგენლებმა გუშინ გმირთა მოედანზე გვირგვინებით შეამკეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი.

### განიხილეს თანამშრომლობის პერსპექტივები

**თბილისის** მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი გუშინ ისრაელის დელეგაციის წევრებს შეხვდა.

როგორც შეხვედრის შემდეგ საქართველოში ისრაელის ელჩმა შაფთაი ცურმა განაცხადა, სტუმრებმა თბილისის მერთან დედაქალაქში მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი პროექტები განიხილეს, რომლებიც შესაძლოა ისრაელის მთავრობის დახმარებით განხორციელდეს. კერძოდ, საუბარი შეეხო საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაციას. არ გამოირიცხება მხარეებს შორის სპეციალისტების გაცვლაც.

როგორც ჭიაბერაშვილმა განაცხადა, აღნიშნული პროექტების განხორციელება საქართველოსა და ისრაელს შორის მეგობრულ ურთიერთობებს კიდევ უფრო გააღრმავებს.

### 20 მილიონი დოლარი – სიღარიბის დაძლევისთვის

**გუშინ** მსოფლიო ბანკის ექსპერტი კიმ იონგ სონგი და მსოფლიო ბანკის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში როი საუსვორტი პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ მიიღო.

როგორც შეხვედრიდან გამოსულმა საუსვორტმა განაცხადა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან მსოფლიო ბანკის პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

– აგვისტოში შეიკრიბება დირექტორთა საბჭო, რომელიც საქართველოსთვის სიღარიბის დაძლევის პროგრამის ფარგლებში 20 მლნ. დოლარის სესხის გამოყოფის საკითხზე იმსჯელებს. ამჟამად თბილისში იმყოფება ექსპერტი, რომელიც საქართველოში არსებულ ვითარებას და იმ პრიორიტეტებს სწავლობს, რომელზეც აღნიშნული თანხა უნდა დაიხარჯოს, – განაცხადა საუსვორტმა.

მსოფლიო ბანკიდან სიღარიბის პროგრამის დაძლევის ფარგლებში მიღებული 20 მლნ. დოლარის კრედიტი, სავარაუდოდ, სახელმწიფო სექტორის გამჭვირვალობის, ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის, სოციალური პროგრამების, ჯანდაცვისა და განათლების სფეროების განვითარებისთვის დაიხარჯება.

ამასთან, პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოში მსოფლიო ბანკის მუდმივი წარმომადგენელი შეთანხმდნენ, რომ მარტის ბოლოს მათ შორის კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართება, სადაც ნინო ბურჯანაძე მსოფლიო ბანკის პროექტებთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას დააფიქსირებს.

### სტადიონი მოვაჭრეთაგან თავისუფლდება

**ბორის** პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე გუშინდლიდან ავეჯით გარევაჭრობა აიკრძალა.

როგორც ინტერ-პრესს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა რამაზ სულამანიძემ განუცხადა, ავეჯით გარემოვაჭრეთათვის ახალი პავილიონი ყოფილი პლასტმასის ქარხნის ტერიტორიაზე აშენდა.

– ქარხნის ტერიტორიას რესტავრაცია ჩაუტარდა. პავილიონი კეთილმოეწყო. მოვაჭრეთა ნაწილმა სტადიონიდან ავეჯის გადატანა გუშინ დილიდან დაიწყო, პროცესი კი პარასკევს დასრულდება, – განაცხადა სულამანიძემ. მისივე თქმით, ახალი სავაჭრო პავილიონის პრეზენტაცია პარასკევს, 18 მარტს მოეწყობა და მასში მონაწილეობას დედაქალაქის მერიც მიიღებს.

### რას ითხოვენ ბიზნესმენები?

**ნავთობისა** და თამბაქოს სექტორში მომუშავე ბიზნესმენები მთავრობის მიერ „ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ“ მომზადებულ კანონპროექტში ცვლილებების შეტანას ითხოვენ. იგი გუშინ საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში შეკრებილ საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად განიხილეს.

ბიზნესმენებს მიაჩნიათ, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი ვერ უზრუნველყოფს და არ ითვალისწინებს თამბაქოს და ნავთობპროდუქტების სფეროში კონტრაბანდის შემცირების მექანიზმებს, ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას და ამ სფეროში სუბიექტების ფართოდ ჩაბმის შესაძლებლობას.

**ინტერ-პრესი.**

⊙ პრესკონფერენცია

## შეხვდება საქართველოს პრეზიდენტი სერგეი ბაღაფშს?

**მიხეილ სააკაშვილი თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს შეხვდება. ასე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერის მოსკოვურ ინიციატივას.**

შეხვედრისთვის მიხეილ სააკაშვილის მზადყოფნის შესახებ ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა გელა ჩარკვიანმა აცნობა. „საქართველოს პრეზიდენტი მზადაა, სერგეი ბაღაფშს თბილისში ან ბათუმში, ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე შეხვდეს და მასთან ერთად მხარეებს შორის არსებულ პრობლემათა სპექტრი განიხილოს“, – თქვა მან.

იხ. მე-2 გვ.

⊙ ჩვენი სირცხვილი!..

## აკაკიმ სიმდიდრე წიგნებში დატოვა, თქვე უტვინოებო!..



ეს მერამდენედ შეიპარნენ არაკაცები სხვიტორში – აკაკის სახლში, ეს მერამდენედ გადააქოთეს სულმნათი პოეტის მამა-პაპეული... ესენი ალბათ იმ „მამულიშვილთა“ მსგავსნი არ არიან ილიას ბიუსტი რომ მოამტვრიეს უნივერსიტეტის ბაღიდან და ვერ მოასწრეს მისი გადადნობა. საჩხერეში კი ამჯერად მხოლოდ ხალიჩისა და ჭაღის წაღება მოახერხეს! კი, მაგრამ, რატომ ჩქარობდით თქვე „ხელმადლიანებო“?! იქ ხომ კიდევ დარჩა რამდენიმე თეფში, ჭიქა, სკამი? ვერ მოხვიეთ ხელი და ვერ ჩაუშვით ტომარაში?! ალბათ მთლად არ გასწორეთ დიდი აკაკის ოჯახის რელიქვიები!.. აფერუმ, თქვენს კეთილშობილებას!

საინტერესოა, როგორია თქვენი მომავლის გეგმები? თხოვნაა: მიდით, არ დაინდოთ ჩვენი დიდი წინაპრების სახლ-კარი და რელიკვია! აბა, თქვენ იცით!

**გურამ გომართელი.**

P.S. რედაქცია დაუკავშირდა საჩხერის რაიონის გამგებელს ბატონ ზურაბ ცერცვაძეს. იგი იმედიანადაა – მგონი ნაძირალების კვალზე ვდგავართ და, ჩემი აზრით, მალე გავხსნით ამ სამარცხვინო საქმესო.

**გ. გ.**

⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## „რუსი მშვიდობისმყოფლების გარდა არავის შემოვუშვებთ“, აცხადებს აფხაზთა ლიდერი

***თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში მოსკოვში იმყოფება სამუშაო ვიზიტით. მისი შეხვედრების გრაფიკი ძალზე გადატვირთულია – მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოში, მოსკოვის მერთან, რუსეთის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან, ბიზნესის წრეებისა და აფხაზური დიასპორის წარმომადგენლებთან. აფხაზთა ლიდერი 15 მარტს შეხვდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი მეორეს.***

სერგეი ბაღაფშმა მისცა ინტერვიუ „როსიისკაია გაზეტას“ კორესპონდენტს ვლადიმერ ბოგდანოვს, გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

**„როსიისკაია გაზეტა“: თქვენი ვიზიტის წინ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირო არ დაეთანხმა „რუსეთის ფედერაციისა და მისი წარმონაქმნების შემადგენლობაში რუსეთის ფედერაციის ახალი სუბიექტის მიღების წესის შესახებ“ ფედერაციულ საკონსტიტუციო კანონში შესწორების შეტანას, რომელიც ითვალისწინებდა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების რუსეთის შემადგენლობაში შესვლის პროცედურის გამარტივებას. როგორია თქვენი კომენტარი ამის თაობაზე?**

სერგეი ბაღაფში: სახელმწიფო სათათბიროს ასეთმა გადაწყვეტილებამ ჩემი დიდი სინანული გამოიწვია. მე იმის მომხრე ვარ, რომ პარლამენტში განსახილველად შეტანის წინ ნებისმიერი საკითხი კარგად უნდა გააანალიზონ და გათვალონ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მათი განხილვა. როცა შევიტყვე, რომ ეს საკითხი უნდა წარედგინათ პარლამენტის განსახილველად, ასეთი კითხვა დამებადა: ვის შეაქვს ეს საკითხი და როგორ განიხილავენ მას? მე მაშინვე მივხვდი, რომ საკითხი ვერ გავიდოდა. რატომ? იმიტომ, რომ იგი გულდასმით უნდა მოვამზადოთ. საჭიროა მისი შემუშავება როგორც ქვეყნის ხელმძღვანელებთან, ისე დეპუტატებთან ერთად. თუ ეს არ მოხდება, ამით ზიანი მიადგება მოლაპარაკების პროცესს.

**„როსიისკაია გაზეტა“: როგორ დაახასიათებდით სადღეისოდ სოხუმისა და მოსკოვის ურთიერთობას?**

სერგეი ბაღაფში: აფხაზეთის განვითარება წარმოუდგენელია რუსეთთან ურთიერთობის შემდგომი განვითარების გარეშე. და ეს ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება. სხვა გზას მე ვერ ვხედავ. აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხს საქართველოსთან შესაძლო დიალოგის დროსაც კი არ განვიხილავთ. ჩვენმა ხალხმა 1999 წელს გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და ამ საკითხის ხელახლა წამოჭრას აღარ ვაპირებთ.

**„როსიისკაია გაზეტა“: დიალოგი თბილისთან გაგრძელდება?**

სერგეი ბაღაფში: ჩვენ მზად ვართ ქართულ მხარესთან ურთიერთობის ნებისმიერი განვითარებისთვის. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ეს სცენარები მშვიდობიანი იქნება. სამწუხაროდ, სამშვიდობო ხელშეკრულება საქართველოსთან დღემდე ხელმოუწერელია. და ამასთან დაკავშირებით, ჩვენთან ხორციელდება რეზერვისტების, იმ ადამიანების გეგმაზომიერი მომზადება, რომლებმაც გაიარეს ომის ქარცეცხლი და ყველაზე გამოცდილები არიან სამხედრო საკითხებში.

მაგრამ ჩვენ არ გამოვრიცხავთ თბილისთან დიალოგს ეკონომიკურ საკითხებზე და კეთილმეზობლურ ურთიერთობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მაგალითად, ჩვენ მზად ვართ აღვადგინოთ სარკინიგზო მოძრაობა რუსეთიდან საქართველოში აფხაზეთის ტერიტორიის გავლით.

ვფიქრობ, რომ გალის რაიონში ლტოლვილების დაბრუნების საკითხი დადებითად წყდება. ყოველდღიურად იზრდება იქ დაბრუნებულთა რიცხვი. ეს კი მოწმობს იმას, რომ აფხაზეთში სტაბილური და მშვიდი ვითარებაა. სხვათა შორის, არ გამოვრიცხავ ორმაგი მოქალაქეობის – საქართველოსა და აფხაზეთის მოქალაქეობის შემოღებას გალის რაიონის მცხოვრებლებისთვის. ამ საკითხის განხილვა შესაძლებელია.

საქართველოს ხელმძღვანელობას შევთავაზე: თუ ჩვენ გვსურს რაიმე მოვიმოქმედოთ, ერთმანეთს ხელს ნუ შევუშლით. მოდით, ყურადღება გავამახვილოთ ეკონომიკურ განვითარებაზე. ასეთმა მორიგებამ შესაძლოა მოხსნას ის პრობლემები, რომლებიც ძალზე უშლის ხელს ჩვენს რესპუბლიკაში ინვესტიციების მოზიდვას.

აპრილში, ჟენევაში უნდა გაიმართოს აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის სერგეი შამბას და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას შეხვედრა. ასე რომ, დიალოგი გრძელდება.



**„როსიისკაია გაზეტა“: აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ ამ ცოტა ხნის წინ განაცხადა: „რუსეთის ჯარები თუ დატოვებენ საქართველოს ტერიტორიას, არავის არ აქვს იმის გარანტია, რომ საქართველო არ მოიზიდავს სხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს ამ სამხედრო ბაზების შესავსებად“. ლაკობას არც ის გამოურიცხავს, რომ ამან შესაძლოა გამოიწვიოს დაძაბულობის ესკალაცია თბილისსა და სოხუმს შორის. თქვენ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

სერგეი ბაღაფში: ამასთან დაკავშირებით მსურს აღვნიშნო: რუსეთის ბაზა აფხაზეთში არის სტაბილურობის ფაქტორი. იგი შეიძლება დაედოს საფუძვლად რუსეთ-საქართველოს ანტიტერორისტული ცენტრის შექმნას, რის შესახებაც ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება თბილისსა და მოსკოვს შორის.

სადღეისოდ სვამენ აფხაზეთში რუსი მშვიდობისმყოფლების უკრაინელებითა და ნატოელებით შეცვლის საკითხს. ამას მოითხოვს საქართველოს ხელმძღვანელობა. ეს მათი უფლებაა. და მორიგების თანახმად, რუს მშვიდობისმყოფლებს შეუძლიათ დატოვონ აფხაზეთის ტერიტორია.

მაგრამ მსურს აღვნიშნო, რომ რუსეთის ძალების გარდა ჩვენ არავის შეშვებას არ ვაპირებთ აფხაზეთში. ეს ჩვენი უფლებაა და ამ საკითხში ჩვენი პოზიცია ერთმნიშვნელოვანი და მკაფიოა. თუ დასვამენ რუსი მშვიდობისმყოფლების წასვლისა და სხვა ძალების შემოსვლის საკითხს, ჩვენ თვითონ დავიკავებთ იმ ადგილებს და პოზიციებს. ეს კი ჩვენს რეგიონში ვითარების გამწვავებას ნიშნავს.

**„როსიისკაია გაზეტა“. 16 მარტი.**


## „საქართველოს რესპუბლიკა“ სიახლეებს ყიდულობს!

გინდათ მუდმივად ჯიბის ფულის ქონა? დაგვირეკეთ და ერთი დარეკვით 20 ლარი ალალი იყოს თქვენზე! ეს ჰონორარი ელოდება ყველას, ვის მიერ მოწოდებული ინფორმაციაც დაიბეჭდება „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე. გვაცნობეთ ყველაფერი საყურადღებო, სენსაციური და უჩვეულო, რაც კი რამ თქვენს გარშემო ხდება, ან რასაც შეიტყობთ თუ გაიგონებთ. ნამდვილად არ წააგებთ.

**დაგვირეკეთ ყოველდღე, დილის 11 საათიდან 17 საათამდე.
ჩვენი ტელეფონია: 99-73-24, 93-22-93.
E-mail: sakresp@gol.ge**


## ინტერპანორამა

**შეერთებულ** შტატებში შეიმუშავეს ტერორისტთა შესაძლო თავდასხმების მოგერიების გეგმა. დოკუმენტში, რომელსაც ეწოდება „ეროვნული დაგეგმის სცენარი“, შეფასებულია სხვადასხვა ტიპის ტერორისტული აქტების შედეგად შესაძლო მსხვერპლისა და ეკონომიკური ზარალის ოდენობა. მაგალითად, ქლორიანი ცისტერნის აფეთქების შედეგად, დოკუმენტის ავტორთა აზრით, შეიძლება დაიღუპოს 17.500, და დაშავდეს 100 ათასზე მეტი ადამიანი.



**ინდონეზიის** ნაპირებთან მოხდა 6 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრიც მდებარეობდა ქალაქ ბანდააჩეჰიდან სამხრეთით, დაახლოებით 108 კილომეტრ მანძილზე. როგორც ცნობილია, გასული წლის 26 დეკემბერს, აჩეჰის პროვინციის ნაპირებთან მოხდა ამ ბოლო 40 წლის განმავლობაში ჩვენს პლანეტაზე უძლიერესი მიწისძვრა, რომლის მაგნიტუდა 9 ბალს შეადგენდა. მიწისძვრამ გამოიწვია ცუნამი, რომელმაც უდიდესი ზარალი მიაყენა ინდოეთის ოკეანის 12 ქვეყანას.




**თელ-ავივის** უნივერსიტეტის ასობით სტუდენტმა, რომლებიც აცხადებენ პროტესტს უმაღლესი განათლებისთვის საბიუჯეტო დოტაციების შემცირების გამო, გადაკეტეს საუნივერსიტეტო კომპლექსისკენ მიმავალი გზა. უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად, მეამბოხე სტუდენტების დასარბევად გამოიძახეს პოლიციის რაზმები.

CYAN MAGENTA YELOOW BLACK

საქართველოს რესპუბლიკა
№ 61, ხუთშაბათი, 17 მარტი, 2005 წელი.

◎ კანონმდებლები

# ჩვენ რატომ ვართ გამონაკლისი?

**პარლამენტში გაზრდილი ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტი უკვე შესულა. კომიტეტები მას ამ დღეებში დეტალურად განიხილავენ. შეგახსენებთ, ბიუჯეტის პარამეტრების 450 მილიონით გაზრდის შესახებ მთავრობამ გასულ კვირას იმსჯელა. აქედან 425 მილიონი პრივატიზაციიდან მისაღები თანხაა, დანარჩენი კი საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებია. ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის პარამეტრების გაზრდის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილება ნაჩქარევია, ამ მიზეზით, რომ ჯერჯერობით მსხვილი ობიექტების პრივატიზების პროცესი არ დასრულებულა, ხელშეკრულებები გაფორმებული არ არის, ამდენად, ამ თანხების ბიუჯეტში ასახვამ შესაძლოა მომავალში უხერხულობა გამოიწვიოს.**

[illegible]



[illegible] მუშაო ადგილი. როცა ადამიანი ძიძას ქირაობს, რა, ეს არ არის სამუშაო ადგილი? თქვენ რა, გინდათ, ქარხნები აშენდეს და ხალხი ასე დასაქმდეს? — უკვირს ბენდუქიძეს.

მთავრობის წინააღმდეგობის [illegible] რომელთაც 60 წელი შეუსრულდათ და აქვთ მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი.

მომავალი კვირიდან საპარლამენტო კომიტეტები საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველი საბჭოს წევრობის [illegible] ხალხს შორის [illegible] ხელშეკრულებას [illegible] ჩვენ რატომ ვართ [illegible]

**მზია გელენავა.**

◎ პრესკონფერენცია

# შეხვდება საქართველოს პრეზიდენტი სერგეი ბაღაფშს?

**(პირველი გვერდიდან)**

ჩარკვიანის თქმით, საქართველოს პრეზიდენტი აფხაზურ მხარესთან არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ბაღაფშის მიერ შეთავაზებულ საკითხებზეც ისაუბრებს.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ამ შეხვედრის სოხუმში გამართვა, გელა ჩარკვიანმა დასძინა, რომ სოხუმში ჯერჯერობით საამისო პირობები არ არსებობს.

პრეზიდენტის პრესსპიკერმა რუსული სამხედრო ბაზების გაყვანაზეც ისაუბრა. მისი თქმით, რუსული მხარის ინიციატივით, საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს ტელეფონით ესაუბრა.

„სატელეფონო საუბარი კონსტრუქციულად წარიმართა. ბაზების გაყვანის თაობაზე რუსეთთან მოლაპარაკებისას საგრძნობი წინსვლა შეიმჩნევა“, — თქვა ჩარკვიანმა.

მისი თქმით, 23-24 მარტს მოსკოვში ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა შეხვედრაა განზრახული, სადაც სამხედრო ბაზების გაყვანაზე იმსჯელებენ. „ვიმედოვნებთ, რომ დათქმულ ვადებში გონივრული კომპრომისი მიიღწევა. ბაზების გაყვანის საკითხს ქართული მხარე პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს. მაგრამ ეს უნდა მოხდეს ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე, წყნარად და ცივილიზებულად“.

ჟურნალისტის კითხვაზე — რა ბედი ელის გუდაუთის ბაზას, — პრესსპიკერმა უპასუხა, რომ რუსეთი მას ფორმალურად გაყვანილად მიიჩნევს, თუმცა საკითხავია, რამდენად მართალია რუსული მხარე. „ბაღაფშმა გუდაუთაში ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის სურვილი გამოთქვა, მაგრამ ქართული მხარე აფხაზეთის ტერიტორიაზე მსგავსი ცენტრის შექმნას არც განიხილავს“, — თქვა პრესკონფერენციაზე გელა ჩარკვიანმა.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

◎ ინფორმაცია

## ვის მიეყიდება საოკეანო სანაოსნო?

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შესაძლოა ბრიტანულ კომპანია „არმსტრონგ ჰოლდინგთან“ ურთიერთობა გაწყვიტოს და შპს „საქართველოს საოკეანო სანაოსნო“ სხვა კომპანიას მიჰყიდოს.**

როგორც გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება „საოკეანო სანაოსნოს“ საბოლოო მფლობელს მარტის ბოლოს გამოავლენს.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება აქტიურ კონსულტაციებს მართავს „საოკეანო სანაოსნოს“ პრივატიზაციისთვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ კომპანია „არმსტრონგ ჰოლდინგთან“, თუმცა პარალელურად მოლაპარაკებებს აწარმოებს „საოკეანო სანაოსნოთი“ დაინტერესებულ სხვა უცხოურ კომპანიებთანაც.

ალექსიშვილის განცხადებით, „არმსტრონგ ჰოლდინგთან“ საბოლოო კონტრაქტის გასაფორმებლად მუშაობა მიმდინარეობს, თუმცა ბრიტანულმა კომპანიამ წამოაყენა წინადადებები, რომლებიც მემორანდუმში არ იყო გათვალისწინებული.

ალექსიშვილის თქმით, „არმსტრონგ ჰოლდინგმა“ თანხის ერთიანად დაფარვა მოითხოვა, მაშინ, როდესაც მემორანდუმში თანხა გრაფიკით იყო გაწერილი. „ჩვენ ვხვდებით, რომ თანხის ერთიანად გადახდა სასარგებლოა ქვეყნისთვის. „არმსტრონგ ჰოლდინგისგან“ გარკვეული გარემოებების დაზუსტებას მოვითხოვთ და ამის შემდეგ გადავწყვეტთ „საქართველოს საოკეანო სანაოსნოს“ ბედს“, — განაცხადა ალექსიშვილმა.

## რატომ დაბლოკა ბექაურმა კანონპროექტი?

**გუშინ, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე, უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა კობა ბექაურმა „სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის შესახებ“ კანონპროექტი დაბლოკა.**

„იჯარით გაცემული და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია პოლიტიკური საკითხია, ამიტომ იგი პარლამენტის უმრავლესობის სხდომაზე უნდა იქნას განხილული. კანონპროექტის გადადებას სწორედ ამის გამო მოვითხოვ“, — თქვა მან.

ბექაურისგან განსხვავებით, კანონპროექტს დადებითად შეხვდნენ კომიტეტის სხვა წევრები, მათ შორის „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენლებიც. როგორც „მემარჯვენე ოპოზიციის“ წევრმა ირაკლი იაშვილმა განაცხადა, აღნიშნული კანონპროექტი პროგრესულია. „სხვა გამოსავალი არ არის. მიწას უნდა ჰყავდეს პატრონი, რომელიც მის დამუშავებაზე იზრუნებს“, - თქვა იაშვილმა.

კანონპროექტის მიღების აუცილებლობას კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილიც ადასტურებს. მისით ქმით, ამჟამად ქვეყანაში აბსურდული ვითარებაა, რადგან იჯარით აღებული მიწებისთვის ფერმერებს საკრედიტო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობა არ გააჩნიათ.

„აღნიშნული კანონპროექტი მნიშვნელოვანი გარღვევა და გლეხებისთვის საშველი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის განვითარება წარმოუდგენელია“, — განაცხადა ლეკიშვილმა.

**ინტერ-პრესი.**

◎ მთავრობა

# ენგურჰესი „კავკასიონის“ ჩართვამდე არ გაჩერდება

**მთავრობის გუშინდელმა სხდომამ 38 საკითხი განიხილა. პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სხდომა დიზელის საწვავის პრობლემით დაიწყო. მისი თქმით, საგაზაფხულო სამუშაოებისთვის სახელმწიფოს მიერ გლეხებისთვის უფასოდ გამოყოფილი დიზელის საწვავი უკვე მობილიზებულია. საჭიროა მხოლოდ ის, რომ გუბერნატორებმა და რაიონთა გამგებლებმა დროულად წარმოადგინონ ზუსტი სიები, რომლებიც ჯერჯერობით არასრულია და აუცილებელია ამ პროცესის დაჩქარება.**

სხდომის დასრულების შემდეგ, ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ისაუბრა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფის ოპტიმიზაციის დამატებით ღონისძიებებზე.

მისი თქმით, ევრობანკის მიერ ოთხიოდე წლის წინათ სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის მიცემული სესხი ჯერ კიდევ არ დაფარულა. 35 მილიონი ევროდან დაახლოებით 8 მილიონი დოლარია გადახდილი. „აუცილებელია ევრობანკთან მოლაპარაკების წარმოება. ამის შედეგად სესხი ენგურჰესის ტარიფს და მის ხარჯებს ჩამოსცილდება და ტარიფიც, შესაბამისად, „შემცირდება“, — თქვა ნიკა გილაურმა.

მან ისაუბრა, აგრეთვე, ენერგეტიკაში შექმნილ ვითარებაზე: რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის



ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ აღდგენითი სამუშაოები, — თქვა მინისტრმა, — უამინდობამ შეაფერხა და იგი აპრილის პირველ კვირაში დასრულდება. შესაბამისად, ენგურჰესის გაჩერების პროგრამა, „კავკასიონის“ ჩართვამდე, ერთი კვირით გადაიდება. რადგან ორივე ობიექტის გაჩერებით ქვეყანაში სერიოზული კრიზისი წარმოიქმნება.

გილაურის თქმით, ენერგოსისტემას „კავკასიონი“ დაახლოებით 300-350 მეგავატის ელექტროენერგიას აწვდიდა, რის შეწყვეტაც სერიოზულ სირთულეებს შეუქმნის მთელ ეკონომიკას. „მიმდინარეობს მოლაპარაკებები აფხაზეთის მხარესთან. პირველად აფხაზეთის ქვესადგურებში საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის პლომბებით დამონტაჟდა ელექტრონული მრიცხველები. ამით თბილისი შეიტყობს, რა რაოდენობის ელექტროენერგია მოიხმარება აფხაზეთის ტერიტორიაზე, თუმცა ამის თაობაზე ჯერჯერობით საბოლოო შეთანხმება არ მიღწეულა“.

ენერგეტიკის მინისტრის თქმით, სამინისტრო ამჟამად სამი მიმართულებით მუშაობს: „კავკასიონის“ ხაზის აღდგენასთან ერთად ჩაირთოს „სალხინოს“ ხაზიც, ჩართვა, რაც 60 მეგავატ ელექტროენერგიას შესძენს საქართველოს ენერგოსისტემას. ასევე, დაახლოებით 55 მეგავატი ელექტროენერგია შემოვა თურქეთიდან, ხოლო თბილსრესის მე-3 ენერგობლოკის ჩართვით კიდევ 100 მეგავატის ელექტროენერგიით გაიზრდება ჩვენი ენერგოსისტემა.

გილაურის თქმით, გაზრდილია ელექტროენერგიის იმპორტი სომხეთიდანაც. პიკის საათებში საქართველოს ენეროსისტემა ამ ქვეყნიდან 130 მეგავატ სიმძლავრეს ღებულობს.

„ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ქვეყანაში ენერგოკრიზისი დავძლიოთ“, — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

**თამარ შაშიაშვილი.**

◎ საგაზაფხულო გაწვევა

# ხუთი ათასი ბიჭი ჯარში მიდის

***ჩვენი დღევანდელი რესპონდენტია ბატონი ჯაბა ცომაია. დაიბადა აბაშაში, წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის ავტომექანიკური სასწავლებელი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამხედრო-სავალდებულო სამსახურს იხდიდა ყოფილი სსრკ-ს შეიარაღებულ ძალებში. მსახურობდა აბაშისა და ფოთის სამხედრო კომისარიატებში, ეროვნული მოძრაობის სამხედრო სექტორში, ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის ძალებში, სამობილიზაციო განყოფილებაში. ამჟამად რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მთავარი მრჩეველი გახლავთ სამხედრო სამსახურში გაწვევის საკითხებში.***

**— ბატონო ჯაბა, როგორ მიმდინარეობს საგაზაფხულო გაწვევა?**

— არ გაგიკვირდეთ და, შესანიშნავად, გრაფიკის სრული დაცვით! დაიხვეწა გაწვევის ორგანიზაციული მომენტები. თუ მანამდე გაწვევაც და განაწილებაც ჩვენს ფუნქციას წარმოადგენდა, ამჟამად მიმღებ-გამანაწილებელი პუნქტიდან წვევამდელებს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი ანაწილებს წინასწარ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

**— წვევამდელების მხრიდან ხომ არ არის პრეტენზიები, სამსახურის მოხდის ადგილის თაობაზე? ადრე, მოგეხსენებათ, „დისლოკაციის ადგილიც“ ჩაწყობით განისაზღვრებოდა.**

— მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, — ამ ერთ წელიწადში რადიკალურად შეიცვალა სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულება! ათასში ერთმა თუ შეიძლება გამოთქვას სურვილი, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა წინასწარ არც კითხულობს საქართველოს რომელ რეგიონში მოუწევს სამსახური... ნამდვილი პატრიოტები გახდნენ ჩვენი ახალგაზრდები, სამხედრო საქმე შეიყვარეს.

**— ეს ამ პრობლემისადმი სახელმწიფოებრივმა დამოკიდებულებამ ხომ არ განაპირობა?**

— რა თქმა უნდა, შეიქმნა ყველა პირობა გაწვევის ნორმალურად ორგანიზებისთვის. ჯერ ერთი, კეთილმოეწყო შენობა-ნაგებობები, ცენტრალური პუნქტის სამედიცინო კომისიაში ადრე თუ თითო-თითო ექიმი იყო, დღეს მათი რიცხვი გაორმაგდა, შეივსო სამედიცინო-გამოსაკვლევი აპარატურა, რაც საშუალებას გვაძლევს სრულფასოვნად გამოვიკვლიოთ წვევამდელის ჯანმრთელობა, რომ სამხედრო ნაწილში განაწილების შემდეგ არ მოხდეს მათი უკან მობრუნება! ამ საქმეს, მართლაც რომ, მთელი სერიოზულობით მოეკიდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მინიმუმამდე შემცირდა „შეცდომები“ წვევამდელთა სამედიცინო გამოკვლევის დროს. მოგეხსენებათ, გასულ წლებში წვევამდელებს ან საერთოდ არ უტარდებოდათ სამედიცინო შემოწმება, ან თუ უტარდებოდათ, გულგრილად, აშკარა ანგარებით. ჯარში ხვდებოდნენ ჯანმრთელობაშერყეული ახალგაზრდები. ყოველივე ამას კი, უდიდესი მორალური და მატერიალური ზარალი მოსდევდა.

**— ადგილებზე, გამწვევ კომისიებშიც გაიზარდა სამედიცინო პერსონალის რაოდენობა?**

— არა, ადგილებზე თითო ექიმი ჰყავთ. ისინი წვევამდელის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას შეისწავლიან მხოლოდ, საბოლოო დასკვნა კი აქ, ცენტრალურ პუნქტში კეთდება. ესეც ერთგვარი პროფილაქტიკური ღონისძიებაა კორუფციის ასაკვეთად... ამ მეთოდმა დაგვანახა, რომ საბოლოო დასკვნა წვევამდელის ჯანმრთელობის შესახებ, უფრო ობიექტურია! ახლა ექიმ-სპეციალისტები გამწვევი კომისიის შტატში არიან ჩარიცხულნი და არა ისე, ადრინდელი „ნათხოვარი“ ექიმებით რომ გავდიოდით ფონს. ისინი სამუშაო საათებში ყოველთვის ადგილზე არიან და წვევამდელს დილიდან საღამომდე, ნებისმიერ დროს შეუძლია მიაკითხოს გამწვევ კომისიას.



**— კი, მაგრამ, მხოლოდ სამედიცინო დასკვნის მიხედვით არ მიჰყავთ ახალგაზრდები ჯარში...**

— მართალს ბრძანებთ, აქვე, გამწვევ კომისიაში ფუნქციონირებს აგრეთვე, ოჯახური მდგომარეობის შემსწავლელი ქვეკომისია და ამ კომისიის დასკვნის მიხედვით ხდება გადაწყვეტილების მიღება.

**— მოხუცთა და ინვალიდ ოჯახის წევრთა მარჩენალს გადავადების შეღავათი ეკუთვნის, თუ არ იქნება მისი დაჟინებული მოთხოვნა... არის კიდევ სხვა შეღავათები, რომლებიც წვევამდელს სამხედრო სამსახურის გადავადების უფლებას აძლევს?**

— დიახ, არის! თუ ახალგაზრდა სწავლობს იმ უმაღლეს სასწავლებელში, რომელმაც 2005 წლის პირველ აპრილამდე გაიარა აკრედიტაცია და ჩამონათვალში არიან შეტანილი, ამ სასწავლებლის სტუდენტს სწავლის პერიოდში ჯარში ვერ წავიყვანთ... გარდა ამისა, კანონში არის მრავალი პუნქტი, რომელთა ცალკეულ მუხლებს თქვენი გაზეთის საშუალებით ფართოდ გავაცნობთ დაინტერესებულ ხალხს!

**— გასაწვევი კონტინგენტის მოზღვავების პირობებში ნიადაგი ხომ არ იქმნება კორუფციისთვის, ანგარებისთვის? ხომ არ გამოვლენილა ასეთი ფაქტები?**

— სამწუხაროდ, გასულ გაწვევაზე იყვნენ ეჭვმიტანილები მარტვილსა და ახმეტაში! მიმდინარეობს მოკვლევა... წლეულს განსაკუთრებით გამკაცრდა კონტროლი. ადგილებზე, გამგებლებს, პოლიციას, საგადასახადო პოლიციასა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებს განსაკუთრებული დირექტივა მიეცათ. ესეც არ იყოს, მე რომ მკითხოთ, ამჟამად არსებული წესები და კანონები უმტკივნეულოდ უწყობს ხელს მსგავსი რამის აღკვეთას. თუ ვინმეს უნდა თავისი შვილი ჯარში არ გაუშვას, რაღა ვიღაცას უნდა „ჩაუდოს ჯიბეში“, მაშინ როდესაც მას ეს თანხა შეუძლია შეიტანოს ბიუჯეტში და კანონიერად გადაუვადოს თავის შვილს თუ ძმას სამხედრო სამსახური. ამ შემთხვევაში წვევამდელი (სამხედრო ვალდებული) კანონიერად თავისუფლდება, ხოლო თუ „ჯიბეში ჩადებული“ ქრთამით არიდებს თავს სამსახურს, მას ყოველ სამ თვეში ერთხელ შეიძლება მოაკითხონ და შეაწერონ „ბეგარა“. ამასთან „ბეგარის ამკრეფი“ წვევამდელს ვერანაირ ცნობას ვერ მისცემს, არადა ეს ცნობა ახალგაზრდას ყოველ ფეხის ნაბიჯზე დასჭირდება, — პოლიციაში, პასპორტის აღების დროს, ინსტიტუტში ჩაბარებისას, საზღვარგარეთ წასვლისას და ა. შ. ამის შემდეგ, დიდი ბედოვლათი უნდა იყო, მსგავსი რამ გარისკო. და თუ მაინც, ვინმე შეეცდება გამოძალვას, მოქალაქეებს თამამად შეუძლიათ მიმართონ სათანადო ორგანოებს... აი, ჩვენთან აქ, ცენტრალურ შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტშიც გვაქვს „ცხელი ხაზი!“ — 8(22)52-28-12: არასამთავრობო ორგანიზაციებისა — 8(22)95-89-80; 8(99)55-64-31.

**— რამდენია საგაზაფხულო გაწვევის კონტინგენტი?**

— თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა ოთხიათას სამასი კაცი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ — ოთხასი, ამას ემატება სამთავრობო დაცვის მოთხოვნა! საბოლოოდ, ეს ციფრი ხუთი ათასს აღწევს!

**— გასული წლის საშემოდგომო გაწვევისას რამდენი იყო?**

— ორი ათასამდე!

**— ზოგიერთი, საქმეში ჩაუხედავი კაცი და ზოგიერთი „მაღალჩინოსანიც“ კი ხშირად აღნიშნავდა, რომ სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გადავადებიდან შემოსული თანხა მნიშვნელოვან შემონატანს მისცემსო ბიუჯეტს... ისინი 13-14 მილიონსაც ასახელებენ...**

— რბილად რომ ვთქვათ, ეს აბსურდია! აი, მაგალითები: საშემოდგომო გაწვევაზე ჩვენ მხოლოდ 1950 კაცი გავიწვიეთ. ამას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები. იმ პერიოდში ე. წ. სამხედრო ბეგარის მოსაკრებლის სახით ბიუჯეტში 500 000 ლარი შევიდა, ხოლო მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ორ მილიონამდე ლარი... ასე რომ, მოსაზრება ცამეტი-თოთხმეტი მილიონის შესახებ, საზოგადოების შეცდომაში შეყვანა გახლავთ! ამ მოსაზრების ავტორები რესპუბლიკაში აღრიცხული წვევამდელი ასაკის ყველა მოქალაქეს გულისხმობენ, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ამ კონტინგენტის დიდი ნაწილი შეღავათით სარგებლობს. ამასთან, როდესაც გასაწვევთა რაოდენობა შეზღუდული გვაქვს, რომელი კანონის მიხედვით გადავახდევინოთ მოსაკრებელი იმ წვევამდელებს, რომლებიც გამწვევ კომისიაში საკუთარი სურვილით მოვიდნენ და ჯარში წასვლა ნამდვილად უნდათ, მაგრამ ვერ მიგვყავს? ამათ ხომ იმ 110 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტიც დაემატება, რომლებმაც აკრედიტაცია უკვე გაიარეს?

**— შარშან, ჩვენი პირველი შეხვედრის დროს, შევეხეთ სამხედრო ბეგარის გადახდის დროს წარმოშობილ „მდიდარი და ღარიბი“ ოჯახების პრობლემას, მაგრამ არის კიდევ ერთი საკითხი, — ქვეყნის პრეზიდენტმა ბრძანა, ქართულ ჯარში ყველამ უნდა იმსახუროსო! ამასთან, მათ ვინც ჯარში არ არის ნამსახურები, თანამდებობრივი დაწინაურება გაუძნელდებათო.**

— აბსოლუტურად სწორი მიდგომაა! ეს მოთხოვნა თავიდანვე განუსაზღვრავს ახალგაზრდას მომავლის გზას, რომელიც მას აინტერესებს. ამასთან მან იცის, თუ ამისთვის მოსდგამს ჯანი და ოჯახური პირობები, ერთხელ მაინც მოუწევს სამშობლოს წინაშე თავისი კონსტიტუციური ვალის მოხდა... ბოლოს და ბოლოს, ქვეყანამ შეიგნო სამხედრო ძალების ფასი... ამიტომ, თითქმის ყველას აქვს სურვილი, დღეს თუ ხვალ აუცილებლად შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ძლიერებაში...

**— გაწვევის მიმდინარეობისას გაქვთ რაიმე დაუძლეველი პრობლემა?**

— არა, ნამდვილად არა, უმნიშვნელო პრობლემებს ადგილზევე ვაგვარებთ!..

**— გმადლობთ.**

ესაუბრა
**ზაურ ფიფია.**



◎ იუსტიციის სამინისტროში

# ასლან აბაშიძის ქონება სახელმწიფოს გადაეცა

**იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა, აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სახელმწიფოს გადასცა აჭარის უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ასლან აბაშიძისა და მისი ნათესავების 6 თვის წინათ დაყადაღებული ქონება.**

სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის სტეფანე თუმანიშვილის განცხადებით, სახელმწიფოს გადაეცა ასლან აბაშიძის ბინა, რომელიც ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარეობს, ასევე „დიდი ბანკი“, რომლის ღირებულება 5.000.000 ლარს შეადგენს.

სახელმწიფოს კუთვნილება გახდა ასლან აბაშიძის ქალიშვილის დიანა აბაშიძის საცხოვრებელი ბინა და არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც გამსახურდიას ქუჩაზე მდებარეობს. აჭარის ყოფილი ლიდერის ვაჟის გიორგი აბაშიძის 4 საცხოვრებელი ბინა ბათუმში და 3 ავტომანქანა.

გარდა ამისა, ასლან აბაშიძის ნათესავს იოსებ გოგიტიძეს ჩამოერთვა 6 საცხოვრებელი ბინა ბათუმში, ქობულეთის წისქვილკომბინატი, ბინა ქობულეთში, ბენზინგასამართი სადგური მდინარე ჩოლოქთან. უძრავი და მოძრავი ქონება ჩამოერთვათ ასლან აბაშიძის სხვა ნათესავებს და მისი გარემოცვის წევრებს.

სტეფანე თუმანიშვილის ინფორმაციით, სახელმწიფოს გადაეცა აბაშიძისა და მისი ნათესავების კუთვნილი 80-მდე დასახელების ობიექტი.

# ვენეციის კომისიამ ჩვენთან დაკავშირებული ორი საკითხი განიხილა

**იუსტიციის მინისტრის მოადგილე კონსტანტინე ვარძელაშვილი იტალიიდან დაბრუნდა, სადაც ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის 62-ე პლენარულ სხდომაში მონაწილეობდა. განსახილველი საკითხებიდან ორი საქართველოს უკავშირდებოდა — სამხრეთ ოსეთის ავტონომიის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში და საქართველოს კონსტიტუციაში მოსალოდნელი ცვლილებები.**

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილია სპეციალური კომისია, რომელსაც იუსტიციის მინისტრი კონსტანტინე კემულარია ხელმძღვანელობს. კომისიის მიზანია შეიმუშაოს კონცეფცია, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის სტატუსს და ცენტრალურ ხელისუფლებასა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპებს განსაზღვრავს. კონსტანტინე ვარძელაშვილმა ვენეციის კომისიის სხდომაზე მოხსენებით გამოსვლისას, კომისიის მუშაობის ძირითად მიმართულებებზე, ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის მოდელზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით ახლო მომავალში დეტალური კონცეფცია მომზადდება, რომელიც ვენეციის კომისიას დასკვნისათვის გადაეგზავნება.

**ლელა ხვადაგიანი.**

## ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის საჯარო მოსმენა

2005 წლის 18 მარტს, 12 საათზე, სასტუმრო „მარიოტ-თბილისის“ დიდ სააქტო დარბაზში (რუსთაველის გამზირი № 13) შედგება საქართველოში ალექსეევკის სამხედრო ბაზაზე (ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი) ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის (ცსლ) პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი განხილვა.

ცსლ მშენებლობის პროექტი წარმოადგენს საქართველოს და აშშ-ს მთავრობათა თანამშრომლობის შედეგს. ცსლ-ის შექმნის მიზანს წარმოადგენს ეპიდემიოლოგიის და ჯანდაცვის სფეროში გამოკვლევების და დიაგნოსტიკის ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ტექნოლოგიების გამოყენება.

დასწრება თავისუფალია.

№ 61, ხუთშაბათი, 17 მარტი, 2005 წელი.

⊙ მეწინავენი

# საკუთარი კუნძული, ანუ მინი-ევროპა ფონიჭალაში



„ჯი-ემ-პის“-ს გენერალური დირექტორი გიორგი ანთაძე

**რამდენიმე წელია, რაც საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე გამოჩნდა და წარმატებით დამკვიდრდა „ჯი-ემ-პი“-ს ნიშნიანი ადგილობრივი წარმოების ათობით დასახელების მედიკამენტი.**

**„ჯი-ემ-პი“ (GMP) ის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შექმნილი კომპანია გახლავთ, ამას წინათ ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი რომ ეწვივნენ. მაშინ პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მიესალმება ქვეყანაში მსგავსი კომპანიების შექმნას და თუ ამგვარ საწარმოებში მიმიწვევენ, ყველას მოვინახულებო.**

**გადავწყვიტეთ, უფრო მეტი რამ შეგვეტყო „ჯი-ემ-პი“-ს შესახებ, გაგვეგო, თუ ვინ არის მისი შემოქმედი, როგორ შეიქმნა და რა სახეობისა და რაოდენობის წამალს უშვებს.**

**ფონიჭალისკენ მიმავალ გზას დავადექით ფოტორეპორტიორი და მე. მშვენიერია შენობის ინტერიერი. მაგრამ შიგნით, შიგნით მაინც სულ სხვა სამყაროა.**

**თანამშრომლის თანხლებით მივდივართ კიდეც იმ „სხვა სამყაროს“ დასათვალიერებლად. თავით — ფეხამდე სპეცტანსაცმლით შეგვმოსეს, სწორედ ისე, როგორც აქ დართულ ფოტოებზე პერსონალს ხედავთ. ორნაირი „კარანტინი“ გაგვატარეს.**

**დერეფნის ორივე მხარეს ჩაყოლებული საამქროების კარებსდატანებული ფართო სარკმლებიდან მოჩანს უახლეს დანადგარებთან მომუშავე ზოგან ერთი, ზოგან რამდენიმე სპეციალისტი. ყველაზე ფართოა შესაფუთი განყოფილება, საიდანაც მზა პროდუქცია საბოლოო სახით გამოდის. იმავე სართულზეა წამლის წარმოებისთვის საჭირო სხვა განყოფილებები. ირგვლივ მართლაც ზესისუფთავე სუფევს, რაც თურმე იქაურ „ჰაერსაც“ ემჩნევა. ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.**

**მანამდე კი, არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება „ჯი-ემ-პი“-ს გენერალური დირექტორი გიორგი ანთაძე.**

**— ბატონო გიორგი, როგორ მოხვედით ბიზნესში?**

— თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი დავამთავრე ფარმაცევტის სპეციალობით. რამდენიმე წელიწადს ფარმაცევტული ქიმიის კათედრაზე ვმუშაობდი. დამატებით განათლება საზღვარგარეთ არ მიმიღია, ვინაიდან საქართველოში დიდი ტრადიციების მქონე საკმაოდ კარგი ფარმაცევტული სკოლა გვაქვს.

90-იანი წლების დასაწყისში, ქვეყანაში მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების დროს (მაშინ კათედრაზე ვმუშაობდი), ჩემთვის, ისევე როგორც ბევრისთვის, ნათელი გახდა, რომ მარტო მეცნიერებით თავს ვერ გავიტანდით. მე და ჩემი მეგობრები დავინტერესდით და გადავწყვიტეთ ფარმაცევტული ბიზნესისთვის მოგვეკიდა ხელი. მით უფრო, რომ მაშინ 1996 წლის წარმატებული ბიზნესის მიმართ ქვეყანაში საკმაოდ ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა ჩამოყალიბდა: წამლები დღგ-საგან გაათავისუფლეს, მედიკამენტებზე საბაჟო გადასახადი შემცირდა, საფუძველი შეუქმნა ფარმაცევტული ბიზნესის რეგალიზაციას ჰოდა, ჩვენც გადავწყვიტეთ, შეგვექმნა ახალი ტიპის დასავლური (ევროპული) სტანდარტების შესაბამისი საწარმო.

1999 წელს დავიწყეთ კიდეც საწარმოს დაგეგმარება, მზადება ამ პროექტის განსახორციელებლად და ერთ წელიწადში მართლაც შეუძლებელი შევძელით: 2000 წლის თებერვალში პირველი პროდუქცია გამოვუშვით.

**— ალბათ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით წამოიწყეთ საქმე.**

— არა. ეს გახლავთ კერძო პირების მიერ ქართული კაპიტალით დაფუძნებული ასპროცენტიანი ქართული საწარმო. როგორც საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, სრულიადაც არ არის აუცილებელი უცხოური ინვენტიციების მოზიდვა, საკუთარი ძალებითაც შეიძლება ბევრი კარგი საქმის წამოწყება და კეთება.

დავიწყეთ კი შენობის რეკონსტრუქციით. თავიდანვე ჩვენი ქარხნის მუშაობის საფუძვლად ავიღეთ ეგრეთ წოდებული, სათანადო წარმოების პრაქტიკის (GMP) მოთხოვნები, რომელიც აწესრიგებს წამლის წარმოების პირობებს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

ამ კონცეფციის ამოსავალი წერტილი მარტოოდენ პროდუქციის ხარისხის კონტროლზე ორიენტირებას კი არ გულისხმობს, არამედ წარმოების სისტემა მთლიანად არის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.

პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად საკმაოდ დიდი ინვესტიციები გავიღეთ. აღმოსავლეთ ევროპაში პირველებმა შევიძინეთ უახლესი — 2004 წლის მოდელის გერმანული დანადგარები, შენობის რეკონსტრუქციის დროს გამოვიყენეთ თანამედროვე სამშენებლო მასალები, ვენტილაციისა და ჰაერის მიწოდების სისტემა. პროდუქცია აუცილებლად „სუფთა ზონაში“ უნდა მზადდებოდეს. ანუ ჰაერი ისე უნდა იფილტრებოდეს, რომ იქ, სადაც წამლები მზადდება, ერთ კუბურ მეტრ არეში 100 ათასზე მეტი მიკრონაწილაკი არ უნდა იყოს (როცა საერთაშორისო ექსპერტებმა „ჯი-ემ-პი“ შეამოწმეს, სხვა პირობებთან ერთად, ამ მხრივაც სრული წესრიგი დააფიქსირეს)...

როგორც მოგახსენეთ, 2000 წლის თებერვალში პირველი პროდუქცია გამოვუშვით და ფარმაცევტულ ბაზარზე გავიტანეთ, რაც საკმაოდ დიდი კონკურენციისა და სხვა სირთულეების დაძლევით შევძელით.

**— კონკურენცია გასაგებია, ალბათ იმპორტული წამლები გაქვთ მხედველობაში, მაგრამ, სხვა სირთულეებში რას გულისხმობთ?**

— ყველაზე დიდი დაბრკოლება ჩვენი პროდუქციის მიმართ საბჭოთა პერიოდიდან გამოყოლილი ტრადიციული უნდობლობა გახლდათ (როცა არ იყო ხარისხის გარანტიები), თავიდან არც მოსახლეობა ენდობოდა ჩვენს წამლებს და არც მედპერსონალი.

**— ბატონო გიორგი, რამდენი დასახელების და რა სახის მედიკამენტებს უშვებს თქვენი ქარხანა? რა წამლებია ეს?**

— ხუთი წლის მანძილზე 80-მდე დასახელების პრეპარატის გამოშვება შევძელით. ძირითადად ტაბლეტებს, გარსით დაფარულ ტაბლეტებს და კაფსულებს ვამზადებთ. ამათგან, ნაწილი საერთაშორისო დასახელებით გამოდის. ნაწილი — ჩვენი საფირმო დასახელებით. ვუშვებთ საკუთარი ტექნოლოგიებით დამზადებულ მედიკამენტებს, აგრეთვე ისეთ პროდუქციასაც, რომელთა წარმოების ლიცენზიასაც გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიასა და საფრანგეთში ვყიდულობთ.

მოსახლეობაში განსაკუთრებულად პოპულარულია ჩვენი მედიკამენტები: კუჭის წყლულის სამკურნალო „ლანსოლი“, ჩვენს მიერ იტალიელებთან ერთად შემუშავებული მცენარეული პრეპარატების სერია „რიცი“ („სომნა რიცი“ — დამამშვიდებელი, „იმუნო როცი“ — იმუნომოდულატორი და სხვა), „ალერტეკი“ — ალერგიის პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება, „მიკოფლუ“ — სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, „ადიპინი“, „ენალაპრილ H“, „კარდიოლოგიური პრეპარატები. უნდა აღინიშნოს, რომ წამლების კარდიოლოგიური პაკეტი მეტად ვრცელია: „ატენორიკი“, „ტრიმეკორი“, „ინდაფონი“, „მონონიტი“ და სხვა. ვრცელია ანტიბიოტიკების პაკეტიც — „აზიმაკი“, „კლარიტრომიცინი“, „როქსიტრომიცინი“ და სხვა. ვაწარმოებთ აგრეთვე ცნობილ პრეპარატებს. ტკივილგამაყუჩებელ „კეტოროლს“ და გაციების საწინააღმდეგო 5-კომპონენტიან „ტაიქოლდს“.

(იხ. მე-5 გვ.)



შენობის ხედი



გრანულაციის საამქრო

⊙ პრეზენტაცია

# საწარმოთა დავებს არბიტრები მოაგვარებენ

**საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტი მოწადინებულია, ჩვენს ქვეყანაში საშუალო და მცირე ბიზნესს მეტი გასაქანი მიეცეს, განვითარდეს და ამით საშუალო ფენა ჩამოყალიბდეს.**

ამ გზაზე, რა თქმა უნდა, არის სიძნელეები, ზოგჯერ საწარმოებს შორის წარმოიშობა დავები, რომელთა განხილვა და გადაჭრა აუცილებელია.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტის (GEGI) მხარდაჭერისა და ქართველი არბიტრების (იურისტების) ინიციატივით, შეიქმნა საქართველოს არბიტრთა ასოციაცია, რომლის პრეზენტაცია ამ დღეებში სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა.

როგორც ამ პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორმა ნინო კარტოზიამ გვითხრა, საქართველოში წარმოშობილი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული სისტემის დამკვიდრება ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. საერთაშორისო გამოცდილებამ და პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ხანგრძლივი სასამართლო პროცესები ხშირ შემთხვევაში შეიძლება ჩაანაცვლოს საარბიტრაჟო და მედიატორულმა მომსახურებამ, რაც მკვეთრად დააჩქარებს წარმოქმნილი დავების მოგვარების პროცესს და ერთდროულად შეამცირებს სასამართლო პროცესებთან დაკავშირებულ მხარეთა დანახარჯებს.

მართლაც, არბიტრაჟის ინსტიტუტის სრული დატვირთვით ამოქმედება და განვითარება საქართველოში ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის წინსვლას, გარემო კი უფრო მიმზიდველი გახდება ინვესტირებისთვის. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

საქართველოს არბიტრთა ასოციაციის წევრები იქნებიან ფიზიკური პირები, რომლებიც აღიარებენ არბიტრთა ეთიკის კოდექსის პრინციპებსა და დებულებებს, ეწევიან საარბიტრაჟო საქმიანობას ან მომავალში აპირებენ ამ საქმიანობის განხორციელებას.

ღონისძიების მონაწილეთა შორის იყვნენ სახელმწიფო მოხელეები, მოსამართლეები, არბიტრები და არბიტრაჟის წარმომადგენლები, იურისტები, ბიზნესასოციაციებისა და კერძო კომპანიების წარმომადგენლები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

პრეზენტაციის მონაწილეები გაეცნენ ეთიკის კოდექსს არბიტრებისთვის, რომელიც შემუშავდა ამერიკის იურისტთა ასოციაციისა და აშშ არბიტრთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის მოდელის საფუძველზე. არბიტრთა ეთიკის კოდექსის მიზანია არბიტრებს შორის ქცევის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება და საქმეების განხილვის ხარისხის გაუმჯობესება, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არბიტრაჟისადმი საზოგადოების ნდობის მოპოვება და შედეგად არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, პოპულარობის გაზრდა.

საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტის (GEGI) ფარგლებში მომზადდა კანონპროექტი არბიტრაჟის შესახებ, რომელიც ამჟამად იუსტიციის სამინისტროს გადაეცა განსახილველად.

ბიზნეს-ასოციაციების მხარდაჭერასთან ერთად საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტის ძირითადი მიმართულებებია სამართლებრივი რეფორმა, კომერციული კანონმდებლობის დახვეწა, მეტი ხელმისაწვდომობა ფინანსებზე, შემოსავლების მობილიზება. ყველაფერი ეს კი მიზნად ისახავს კერძო სექტორის გაძლიერებას.

**ლალი ქინქლაძე.**

⊙ სიმართლე კი ასეთია

# ისე არ წვიმს, როგორც ქუხს

**პრესაში გავრცელდა ინფორმაცია „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის ახლოს ნაღმების აღმოჩენის შესახებ.**

სამცხე-ჯავახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის გოგა ხაჩიძის განცხადებით, ახალციხის რაიონის სოფელ კლდეში, სადაც ადრე რუსული სამხედრო ნაწილის საწყობი იყო, მართლაც აღმოჩნდა დიდი ხნის წინათ მიწაში ჩაფლული 8 სასწავლო ნაღმი, მაგრამ მათ დეტონატორები არ ჰქონდათ და არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. ამასთანავე ეს ადგილი 1,5 კილომეტრითაა დაშორებული ნავთობსადენიდან.

**სამცხე-ჯავახეთის მხარეში სამხარეო ადმინისტრაციის პრეს-სამსახური.**

⊙ ინფორმაცია

## ოპოზიციური პარტიები საკოორდინაციო-საკონსულტაციო ცენტრს ქმნიან

**საქართველოს „ლეიბორისტულმა პარტიამ“, მოძრაობა „მომავლის მთავრობამ“ და მოძრაობა „წინ საქართველოს“ ლიდერებმა გუშინ ოპოზიციური საკოორდინაციო-საკონსულტაციო ცენტრი შექმნეს.**

**როგორც გუშინ გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ ოფისში გამართულ შეხვედრაზე ოპოზიციური ცენტრის ერთ-ერთმა წევრმა, „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა განაცხადა საკოორდინაციო ცენტრის მიზანი ხელისუფლების ვადამდელი შეცვლა და ამ იდეის გარშემო ოპოზიციის გაერთიანებაა.**

**„სამედიცინო კოლეჯის ბავშვების მიმართ ჩადენილმა ტერორისტულმა აქტმა ხელისუფლების შეცვლის სურვილი მოსახლეობაში კიდევ უფრო გაამყარა. ჩვენ საქმე გვაქვს უკანონო, არალეგიტიმური გზით მოსულ ხელისუფლებასთან, რომელიც ამავე გზით აგრძელებს მოღვაწეობას“, — აღნიშნა ნათელაშვილმა.**

**მოძრაობა „წინ საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის თქმით, საკოორდინაციო ცენტრი ოპოზიციურ ძალებთან კონსულტაციებს კვლავაც გააგრძელებს. „გაერთიანების მიზანია დაიცვას დემოკრატია, ადამიანის უფლებები და მოსახლეობა „დილეტანტური ხელისუფლებისგან“, — განაცხადა ბათიაშვილმა.**

**შეხვედრას მოძრაობა „მომავლის მთავრობის“ ლიდერები გია მაისაშვილი და მისი ამერიკელი კონსულტანტი ბობ სფეარსიც ესწრებოდნენ. თუმცა, „ჯორჯიან თაიმსის“ ოფისი მათ უკომენტაროდ დატოვეს.**

## დავალიანების დაფარვაც და სამუშაოც...

**გუშინ საპროტესტო აქცია გამართეს „ვარციხეჰესის“ კასკადის მუშა-მოსამსახურეებმა.**

**მათი განცხადებით, 1997 წლიდან დღემდე თანამშრომლების მიმართ საწარმოს 16-თვიანი დავალიანება დაუგროვდა, რაც მთლიანობაში 724 ათას ლარს აღემატება. ამ თანხის ანაზღაურებას ჰესის თანამშრომლები ახალ მეპატრონეს - „ევრაზია ჰოლდინგს“ სთხოვენ.**

**აქციის მონაწილეთა განმარტებით, თანხასთან ერთად, ისინი ინვესტორს სამუშაო ადგილების შენარჩუნების გარანტიასაც სთხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორშაბათიდან მუშა-მოსამსახურეები ჰესის კასკადის ბლოკირებით იმუქრებიან.**

**როგორც ინტერ-პრესს აქციის ორგანიზატორებმა განუცხადეს, გუშინ მათ მხოლოდ გამაფრთხილებელი გამოსვლა ჰქონდათ.**

## ვინ აპირებდა გემთმშენებელი ქარხნის აფეთქებას?

**საქართველოს შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ფოთის გემთსაშენი ქარხნის ტერიტორიაზე, სარკინიგზო ვაგონების სასწორის ქვეშ დამონტაჟებული დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს. იგი ავტონომიური კვების წყაროთი მარაგდებოდა, რაც სავარაუდოდ ერთ თვეზე იყო გათვლილი.**

**როგორც აღნიშნული სამმართველოს უფროსი მურად ბერია აცხადებს, ასაფეთქებელი მოწყობილობა გემთსაშენის ტერიტორიაზე პროფესიონალის მიერ იყო დამონტაჟებული.**

**უშიშროების სამინისტროს გამნაღმველებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა ადგილზევე გააუვნებელყვეს.**

**ამჟამად, მიმდინარეობს გამოძიება. რომელმაც უნდა დაადგინოს, საიდან აღმოჩნდა ასაფეთქებელი მოწყობილობა გემთსაშენის დახურულ ტერიტორიაზე, რომელიც მკაცრად კონტროლირებადი ზონაა.**

## ყუმისთაველები „მაგთიკომსა“ და „ჯეოსელს“ არ სწყალობენ

**წყალტუბოს რაიონის სოფელ ყუმისთავში ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთიკომის“ ანძასთან დაკავშირებული საპროტესტო გამოსვლები არ წყდება.**

**სამი დღის წინათ მოსახლეობამ მაგთიკომის ანძის ძირითადი კაბელი გადაჭრა, რითაც აღნიშნული კომპანიის მუშაობა შეფერხდა. აქციის მონაწილეები ანძის ტერიტორიას ღამითაც არ ტოვებენ, რათა გადაჭრილი კაბელები არ აღადგინონ.**

**სოფელ ყუმისთავის მოსახლეობა აცხადებს, რომ „მაგთიკომის“ ანძა მათ ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. იგივე მოტივით, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შარშან კომპანია „ჯეოსელის“ ანძის დამონტაჟების პროცესიც შეაჩერეს.**

**წყალტუბოს გამგეობაში აცხადებენ, რომ თუ მოსახლეობასთან მოლაპარაკებებით შედეგს ვერ მიაღწევენ, იმერეთის სამხარეო პოლიციიდან დახმარების გამოძახების საჭიროება წარმოიქმნება.**

**ინტერ-პრესი.**

⊙ გულის ბუხარი

# [illegible]

## ბატონ კახა ბენდუქიძის ერთი ინტერვიუს გამო აღძრული ფიქრები

**1902 წელს ბერლინში გერმანულ ენაზე გამოიცა ფილოსოფიის დოქტორის ბ. იშხანიანის წიგნი „კავკასიის ხალხები“, რომლის რუსული თარგმანი 1916 წელს პეტროგრადში დაისტამბა. ბ. იშხანიანი წიგნში გამოთქვამს საკუთარ და სომეხი მოღვაწეების აშკარა კმაყოფილებას იმის გამო, რომ სომხურ კაპიტალს საქართველოში გაბატონებული ადგილი უჭირავს და ქართველების კუთვნილი ადგილ-მამულები მათ ხელში გადადის. ამის გამო იგი სომხებს კავკასიაში მოწინავე, მომავლის მქონე ხალხს უწოდებს, ქართველ თავადაზნაურობას კი დაძაბუნებულ, მიხრწნილ წოდებად თვლის, შუა საუკუნეების გადმონაშთს ეძახის.**

**ბ. იშხანიანი აღნიშნავს: „მთელი ქართველი მოსახლეობის 5,26 პროცენტი შედგება შთამომავლობითი თავადაზნაურობისგან, რომელიც, თავის მხრივ, კავკასიაში მთელი თავადაზნაურული წოდების 41,5 პროცენტს შეადგენს. ვერსად შევხვდით სხვა მსგავს მაგალითს, რომ შუა საუკუნეების ფეოდალური გადმონაშთი რომელიმე ხალხის ახალ საზოგადოებრივ წყობაში ასეთი დიდი რაოდენობით იყოს წარმოდგენილი. დიდი ნაწილი ამ დაძაბუნებული წოდებისა უკვე პროლეტარიზებულია და გლეხობის, ხელოსნებისა და მუშების რიგებში გადავიდა... ამ წოდების უმაღლესი ფენა, რომელიც მდიდარი ქართველი მიწათმფლობელი თავადებისგან შედგება, ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით თანდათან ქვეითდება და ფულადი მეურნეობის ზეგავლენით იძულებულია თავისი ადგილ-მამული გამარჯვებულ მსხვილი კაპიტალის მფლობელ მაგნატებს მიჰყიდოს. სომეხი და უცხოელი კაპიტალისტები იძენენ დიდძალ მიწის ნაკვეთებს გაკოტრებული თავადაზნაურობისგან“.**



განსახილველი საკითხი რომ უფრო ნათელი გახდეს, აუცილებელია ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხსაც მივაქციოთ ყურადღება. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, 1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა. ამ აღწერის მიხედვით ქართველი ხალხის შესახებ ერთი ისეთი მონაცემიც იქნა მიღებული, რომელიც დიამეტრალურად განსხვავდებოდა სხვა ხალხების ანალოგიური მონაცემებისგან. კერძოდ, ქართველებში შთამომავლობითი თავადაზნაურობა 70 ათასზე მეტ კაცს, ანუ მთელი ქართველი მოსახლეობის 5,29 პროცენტს უდრიდა და ეს მაჩვენებელი შეუდარებლად მაღალი იყო იმპერიაში მცხოვრებ სხვა ხალხების შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. მაგალითად, რუსებში იგი 0,76, ხოლო საშუალოდ იმპერიაში 0,97 პროცენტს შეადგენდა. ქალაქად მცხოვრები ყოველი მეცხრე ქართველი თავადაზნაურულ წოდებას ეკუთვნოდა.

ამასთან კავკასიაში მთელი თავადაზნაურული წოდების 41,5 პროცენტი ქართველი თავადაზნაურობა იყო, რუსი — 16,8, ხოლო სომეხი თავადაზნაურობა მხოლოდ 5,4 პროცენტს უდრიდა. პოლონელი პროფესორის ბ. ბარანოვსკის აზრით, საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო მსოფლიოში, სადაც თავადაზნაურობა მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდა. ასევე დიდი იყო საქართველოში პიროვნული თავადაზნაურობის რაოდენობაც. კიდევ ერთი მაჩვენებელი იმსახურებს ამ მხრივ ყურადღებას — ქართველებში სასულიერო პირები 29 ათასზე მეტ კაცს, ანუ მთელი მოსახლეობის 2,18 პროცენტს უდრიდა, მაშინ როდესაც საშუალოდ იმპერიაში ეს მაჩვენებელი 0,47 პროცენტს არ აღემატებოდა. ამ მხრივაც რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს შორის გამორჩეული ვიყავით, პრივილეგირებული წოდება (შთამომავლობითი და პიროვნული თავადაზნაურობა, სასულიერო პირები) მთელი მოსახლეობის 8,5 პროცენტს აღწევდა.

პრივილეგირებული წოდების სიმრავლე განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა ქართველი ხალხის დადებითი ხასიათისა და ნიშან-თვისებების ჩამოყალიბებაზე, ხელს უწყობდა ყოველივე იმ საუკეთესოს ყოველმხრივ გამრავლებასა და ქართველთა ცხოვრების წესში მოქცევას, რაც ამ წოდებას გააჩნდა. მაგრამ, ამავე დროს, მეტისმეტი ხელგაშლილობა, არც ისე იშვიათად გადამეტებული და ნივთიერ სახსარს მოკლებული სტუმართმოყვარეობა, „ბედოვლათობა ფულის ხარჯვაში“, რაც ასევე ამ წოდებას ახასიათებდა, ეკონომიკურ საფუძველს აცლიდა მას და, მაშასადამე, მთელ ერსაც. ქართული ბურჟუაზიის განვითარებას ამ ფაქტმაც შეუშალა ხელი.

თავადაზნაურობამ დაიწყო კუთვნილი მამულების გაყიდვა და მას სხვა ერის წარმომადგენლები, ძირითადად სომხები იძენდნენ. შეიქმნა ქვეყნის დაკაბალების რეალური საშიშროება, მით უმეტეს, რომ მსხვილი კაპიტალის მფლობელ სომეხ და უცხოელ მაგნატებთან ბრძოლა მეტად ძნელი იყო. ეროვნული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსდა ქართული ბანკი. მიუხედავად ამისა, საქართველოს ქალაქებში მცხოვრებმა სომხებმა მთლიანად ჩაიგდეს ხელში ვაჭრობისა და მრეწველობის საქმე. თბილისში სასახლის ქუჩაზე, გოლოვინის პროსპექტსა (ამჟამინდელი რუსთაველის პროსპექტი) და, საერთოდ, პრესტიჟულ ქუჩებზე ქართველების კუთვნილი სახლების მფლობელები სომხები გახდნენ. აღნიშნულ ქუჩებზე მხოლოდ ორადორი სახლი ეკუთვნოდა ქართველებს, მათ შორის ერთი — დ. სარაჯიშვილს. **რუსი მოღვაწე ი. კანადპევი, რომელიც თბილისში დიდი ხანი ცხოვრობდა, 1902 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნში აღნიშნავდა, რომ სომხები ქართველების კუთვნილ 7-8 ათას მანეთად ღირებულ სახლებს ხელში 200-300 მანეთად იგდებდნენ და ამ საქმეში ისინი განსაცვიფრებელ ვირტუოზულობას იჩენდნენო.** (И. К. Канадпев Очерки Закавказской жизни Баку, 1990, с.ьь.).

იგივე ი. კანადპევი ასეთ სავალალო მდგომარეობაში მყოფ ქართველ თავადაზნაურობას თანაუგრძნობდა, მთავრობას, მათ ღირსებას, დამსახურებას შეახსენებდა და დაუშვებლად მიაჩნდა ამ პრივილეგიური წოდების სავალალო ეკონომიკური მდგომარეობა: **„ბურჟუაზია, როგორც ისტორია გვიჩვენებს, ყოველთვის იმარჯვებს თავადაზნაურთა კლასზე. ეს სწორია, მაგრამ უნდა დავუმატოთ, რომ ეკონომიკური ევოლუცია არსად არ დამთავრებულა ისე სავალალოდ თავადაზნაურობისთვის, როგორც აქ... განა მთავრობამ უნდა დაუშვას, რომ დაიღუპოს ქართველი თავადაზნაურობა, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია რუსეთს მასთან საქართველოს შეერთების დროიდან? არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი, რომ იგი იყო ორი ერთმორწმუნე ხალხის ერთიანობის იდეის მატარებელი და ერთი სამეფოს მეორე სამეფოსთან ნებაყოფლობითი შეერთების მთავარი მიზეზი.** (იგივე ნაშრომი, გვ. 80-81).

სხვის ხელში ქართული მიწებისა და ქართველთა ქონების გადასვლა დიდ საშიშროებას მოასწავებდა ერისთვის. ამიტომ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ყოველმხრივ წინ აღუდგნენ ქართველი ხალხისათვის დამღუპველ პროცესს, რათა იგი სხვის ხელისშემყურე არ გამხდარიყო. მატერიალურად გაძლიერებულმა სომხებმა თბილისის მართვა-გამგეობა თავის ხელში მოაქციეს. მიუხედავად იმისა, რომ 1897 წლის აღწერით სომხები თბილისის მოსახლეობის ერთი მესამედიც არ იყო, ქალაქის გამგეობა მთლიანად სომხებისგან შედგებოდა.

ამის გამო აკაკი წერეთელი აღნიშნავდა: **„პეტერბურგში რომ ქალაქის ხმოვანებად სულ ნემცები აირჩიონ და არცერთი რუსი არ გაურიონ, რას იტყვიან? ვარშავაში რომ სულ ურიები აირჩიონ და ერთი პოლშელიც არ გაურიონ, რას იფიქრებენ? თფილისში რომ ერთი ქართველიც არ გაურიონ ამორჩეულების რიცხვში, რას უნდა მივაწეროთ ეს? ამის პასუხს ვთხოვ ისეთ ყაჭის-ჭიებს, როგორებიც ბრძანდებიან სომხურ ჟურნალ-გაზეთის რედაქტორები და იმათი ავან-ჩავანები“** (ა. წერეთელი, ტ. XI. თბ. 1960, გვ. 446). კიდევ უფრო უარეს დღეში იმყოფებოდა ქართული სოფელი. **„მთელი კახეთი, აღნიშნავდა პოეტი, ვაჭრებისა და ჩარჩების ყმებად არის გადაქცეული, კახელების სიმდიდრე ვენახებია და ისინიც ხომ სომხებს აქვთ გირაოთ... არა თუ მარტო მამული, თვით მემამულეთა შრომაც კი: პატრონები მუშაობენ და მოსავალი კი მოვალეებს მიაქვთ“** (ა. წერეთელი. ტ. XII, თბ. 1961, გვ. 316). დიდი პოეტი სიფხიზლისკენ მოუწოდებდა ხალხს, რათა ჩვენი ქონება სხვის ხელში არ გადასულიყო: **„ის ადგილ-მამული, ის მიწა-წყალი, რომლის გულისთვისაც ჩვენი ძველები თავს იწირავდნენ, დღეს ხელიდან გვეცლება ჩვენისავე დაუდევრობითა და ბედოვლათობით. დღევანდელი საუკუნის ერთი უმთავრესი მოთხოვნილებათაგანი ის არის, რომ ჩვენ ჩვენ საკუთრებას ყური ვუგდოთ, ვიშრომოთ, ვიღვაწოთ თავ-დაუზოგავად და გარეშეს ხელში არა ჩავაგდოთ-რა!“** (ა. წერეთელი, ტ. XII, 1960, გვ. 329).

მსხვილი კაპიტალის მფლობელ უცხოელ მაგნატებთან ბრძოლა, მართლაც, მეტად ძნელი აღმოჩნდა. 1908 წელს ვაჟა-ფშაველა წერდა: **„საქართველო დღეს წააგავს მსუქან დუმას. გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაიკაი ნაჭრებს... ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას ან მიწა-წყლის გადასვლას სხვის ხელში როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად. როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას!“**

(იხ. მე-5 გვ.)

⊙ კონკურსი

საქართველოს რუსულენოვან ჟურნალისტთა ასოციაცია საქართველოში რუსეთის საელჩოსა და კავშირ „სამშობლოს“ მხარდაჭერით აცხადებს კონკურსს ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავის აღსანიშნავად მიძღვნილი საუკეთესო ჟურნალისტური მასალის გამოსავლენად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც პრესაში ან მასმედიის ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნებულ სტატიათა ავტორებს, ისე სპეციალურად კონკურსისთვის დაწერილ მასალებს.

კონკურსის შედეგები შეჯამდება და გამარჯვებულები საზეიმოდ გამოვლინდებიან 2005 წლის მაისში.

გამარჯვებულებს გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები.

**ცნობისათვის დარეკეთ 95-52-86, 893-90-84-88.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 61, ხუთშაბათი, 17 მარტი, 2005 წელი.

**კარგი** მასალებია, მაგრამ მეტისმეტად „აჟურული“ ხომ არ არისო, – ისე მკითხა ჩვენი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა, პასუხი რომ იგულისხმებოდა.

რა თქმა უნდა, ასეა, რადგან ეს გვერდი ახალგაზრდებისთვის შეიქმნა, რედაქციის ახალგაზრდა თანამშრომელთა ნააზრევით.

ღრმა ფილოსოფიურ წიაღსვლებსა და აკადემიზმს აქ ვერ შეხვდებით, თუმცა, პრობლემებზე აუცილებლად თქვენთან ერთად ვისაუბრებთ. ეს მაშინ, როცა შეგვეხმიანებით და გვეტყვით, რა გსურთ, რა გაწუხებთ, რა გტკივათ. ერთ გვერდში ყველაფერს ვერ ჩავტევთ, მაგრამ, გვერწმუნეთ, თქვენი არც ერთი თხოვნა არ დარჩება ყურადღების მიღმა, – ყველაფერს გავითვალისწინებთ.

ჯერჯერობით კი გავერთოთ ერთად.

თუ ამ გვერდს თვალს ჩვენი გაზეთის ერთგული ასაკოვანი მკითხველებიც გადაავლებენ, იქნებ, გულისწყრომა ვერ დამალონ. ვშიშობ, მათ ქართული ტრადიციებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ნიჰილისტური მოეჩვენებათ და იქნებ გულის სიღრმეში ლინჩის წესით გაგვასამართლონ კიდეც, მაგრამ ჩვენ არ გვსურს, თვალებზე ხელებაფარებულებმა ვიცხოვროთ. დრო ყველაფერს თავის სახელს არქმევს.

ის ჩვენს საამაყო „ქალიშვილობის ინსტიტუტსაც“ მოევლინა ნათლიად. ამიტომაც, ნუ შეგვაჩვენებთ. ჩვენი მოწოდებებით არ გამოვდივართ (ეს სასაცილოც კი იქნებოდა), უბრალოდ, ფსიქოლოგების მოსაზრებებს შემოგთავაზებთ ახლაც და შემდეგშიც.

დაბოლოს, გოგონების საყურადღებოდ! მოგვაწოდეთ თქვენი ფოტოსურათები, რომლებსაც კვირაში ერთხელ ჩვენს ახალგაზრდულ გვერდში დავბეჭდავთ. დაანახეთ თქვენი სილამაზე მთელ საქართველოს და მიიღეთ კონკურსში მონაწილეობა. მკითხველების ხმათა რაოდენობის მიხედვით შეირჩევა უმშვენიერესი „მის აპრილი“, „მის-მაისი“, „მის-ივნისი“ და ა.შ. ბოლოს კი – „მის-2005“. გამარჯვებულები სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან.

შეგვეხმიანეთ, გამოგვიგზავნეთ თქვენი ფოტოები და ვიმეგობროთ.

ჩვენ, რედაქციის ახალგაზრდა თანამშრომლები, გეუბნებით, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ მხოლოდ „დაბრძენებულთა“ გაზეთი არ არის.

**რუსუდან გახარია**

პრობლემა | რიტა ჩაკვეტაძე

# ითმინონ, მაგრამ როდემდე?



**ჭერი სისველისაგან უკვე დანესტიანებულია. ვიწრო, ჩაბნელებული, ცივი ოთახი. მეცადინეობის დროა. ვერ სწავლობ... ვერ წერ, ხელები გეყინება. დგები და გარეთ გადიხარ. იქ გაცილებით თბილა. სახლში დაბრუნება არ გინდა, რადგან იცი, იქ ჯოჯოხეთია – უშუქობა და უწყლობა.**

ასეთია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდქალაქში ჩასახლებული სტუდენტების ყოველდღიური ცხოვრება.

დილა შუქის ნატვრით იწყება..

იქნება შუქი? უნივერსიტეტიდანაც ამ კითხვით ბრუნდებიან შინ...

გაზაფხული მოვიდა, იქნებ სითბოსთან ერთად შუქიც მოიტანოს, – იმედოვნებენ სტუდენტები.

– ასეთი ცუდი პირობები აქამდე არ გვახსოვს, – ამბობს ზაზა კაკუბავა, ფიზიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, – რამდენიმე დღის განმავლობაში შუქი საერთოდ არ გვქონდა. ალბათ, ხედავთ, როგორი ოთახებია – თუ წვიმს. ოთახშიც წყალი ჩამოდის. შეიძლება, სტუდენტმა ასეთ პირობებში იცხოვროს? სწავლის სურვილიც გაგიქრება. ახლა დათბა მაინც, ზამთარი კი ჯოჯოხეთი იყო ჩვენთვის. გარეთ თოვდა, ყინავდა და შინ დაბრუნებულ მშიერ სტუდენტებს შუქიც არ გვქონდა.

ყოველთვიურად სტუდენტები შუქის ფულს შეღავათით – სულზე 5 ლარს ვიხდიდით, ახლა 14-ს გვთხოვენ. ამის საშუალება კი არ გვაქვს. შუქის მოთხოვნით აქციებიც მოვაწყვეთ, მაგრამ ბევრი არაფერი შეცვლილა. შუქის პრობლემა კვლავაც არსებობს, გრაფიკით გვაქვს – დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 5-დან 12-მდე.

– ამ კორპუსებში სტუდენტებთან ერთად ორი ათასამდე დევნილიც ცხოვრობს, – ამბობს სტუდქალაქის მმართველის მოადგილე ომარ მესხი, – შეძლებისდაგვარად ვეხმარებით სტუდენტებს, შუქზე შეღავათი აქვთ. კი, გასაგებია, რომ საუკეთესო პირობებში არ ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენი სახსრებით რასაც ვახერხებთ, ვაკეთებთ კიდეც. არავინ გვეხმარება. ამ ზაფხულს საკუთარი ხარჯებით გადავხურეთ კორპუსები. სტუდენტობა მეც ამ კორპუსში გავატარე. გადახედეთ ეზოს – ეს ნაძვები სულ ჩემი გაშენებულია.

კარგად ვიცით, როგორ პირობებში უნდა სწავლობდეს სტუდენტი. ყველამ რომ თავისი საქმე აკეთოს, მთავრობამაც და ხელქვეითებმაც, მაშინ ეს პრობლემაც აღარ იქნება. სახელმწიფო პირველ რიგში სტუდენტებზე უნდა ზრუნავდეს.

ახალგაზრდებსაც მეტი მოთმენა და გულისხმიერება მართებთ.

... კი ბატონო, ითმინონ, მაგრამ როდემდე?

ხუთეული | რუსუდან გახარია

# მოწონებული ნინი ბადურაშვილი...

**ვინ არის, თქვენი აზრით, ხუთი ულამაზესი ქართველი მომღერალი (თუ, ჩემი არ იყოს „მომღერალი“ თქვენც ხმამაღლა ნათქვამად მოგეჩვენებათ, სასურველი სიტყვით შეცვალეთ.)? – ვკითხეთ ნაცნობ-უცნობ ახალგაზრდებს**. გამოკითხულთა უმრავლესობამ შემსრულებლები ერთი ნიშნით – სექსუალურობით გამოარჩია. „წარბწამწამთა ჩერომ“ დიდი ხანია, აქტუალურობა დაკარგა. ეს ცალკე საუბრის თემაა, ახლა კი, უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ გარეგნობით გამორჩეულთა შორის ვეღარ მოხვდნენ ასაკშეპარული ქალბატონები. არადა, დრო იყო, ნახევარი თბილისი ლელა წურწუმიას ზოლებიან ბიუსტჰალტერსა და წელზე ტატუირებულ პეპელაზე ლაპარაკობდა. მაშინ ის ბევრს მიაჩნდა ძალზე სექსუალურ ქალად.



ქეთა თოფურია



თაკო გაჩეჩილაძე



ქრისტინე იმედაძე

გამოკითხულთა ხმების რაოდენობის მიხედვით, ჩვენს ხუთეულში ადგილები ასე განაწილდა:

მეხუთე ადგილი რუსეთში გამგზავრებულმა **ქეთა თოფურიამ** დაიკავა. სიმართლე რომ ვთქვათ, ბოლო დროს ქეთა ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა, მაგრამ „ა სტუდიოს“ მიწვევამ რეიტინგი აუმაღლა.



ბუკა მანაგაძე

მეოთხე ადგილი **ბუკა მანაგაძეს** მიაკუთვნეს. მართალია, თავად ბუკა ამბობს, ჯერ კიდევ ბავშვი ვარ და ჩემს ასაკში სექსუალურობა ვინ თქვაო, მაგრამ ფუმფულა ფორმები თავისას შვრება.

მესამე ადგილზე **ქრისტინე იმედაძე** გავიდა. მე კი მეჩვენება, რომ ეს გოგო განსაკუთრებული შარმით არ გამოირჩევა, მაგრამ, ფაქტია, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ხიბლავს. მასში ინტრიგა იგრძნობა, ვფიქრობ, სწორედ ასეთი გარეგნობაა საჭირო პოპვარსკვლავობისთვისო, – მითხრა ერთმა (მე არასდროს შემპარვია ეჭვი მის დახვეწილ გემოვნებაში, მაგრამ ამჯერად...).

მეორე ადგილი **თაკო გაჩეჩილაძემ** დაიკავა. ვერაფერს იტყვი, ეფექტური გოგოა, თხელი და ხუჭუჭა (მეტისმეტადაც კი). ხშირად არ ჩანს, ბევრს არ მღერის და არც ამბიციის მოძალება ეტყობა.

ქართველი შემსრულებლებიდან **ყველაზე ლამაზ** გოგონად, ხმათა უმრავლესობით, **ნინი ბადურაშვილი** დასახელდა. თმას არასდროს ვივარცხნიო, – ამბობს ნინი, მაგრამ მას ეს არ უშლის ხელს, მუდამ მშვენივრად გამოიყურებოდეს.



ნინი ბადურაშვილი

სხვათა შორის, ბევრისგან განსხვავებით, ნინის არც მაცდური სიშიშვლის წარმოჩენა და ამით სპეკულირება უცდია. როგორც ჩანს, სექსუალურობა მხოლოდ სხეულის „შეთავაზებაზე“ არ არის დამოკიდებული, თორემ, ამ მხრივ, პირველობას ვერავინ წაართმევდა მეტისმეტად თამამი ნაბიჯების მოყვარულ ანა ჯაკს.

# ...და დაწუნებული ანა ჯაკი

DJ-ს თვალით | რუსუდან გახარია

# წაუკითხეთ «პრავდა» თემო კვირკველიას

**მე რომც არ აღვნიშნო, თქვენ თავადაც იცით, თემო კვირკველია როგორი მუსიკალური წამყვანია – უბრალოდ, საუკეთესო. ბევრისგან განსხვავებით, საეთერო სტუდიაში მუშაობისას ის არასდროს იფარგლება საათისა და წუთის აღნიშვნით ან ინგლისურენოვანი სიმღერის პირველი წინადადების გადმოქართულებით. არც იმას ამბობს – გარეთ კი ცივა, მაგრამ თუ ჩვენს რადიოს მოუსმენთ, გათბებითო და არც სიყვარულს გვიხსნის. მოკლედ, მან, ვინც რადიოსადგურების დიჯეებს ერთნაირი ტექსტები დაურიგა, თემო გამოტოვა.**

ჩემი და თქვენი საყვარელი მუსიკალური წამყვანი იმდენად ღრმად ერკვევა მუსიკაში, რომ მზა ტექსტები, „ნახევარფაბრიკატები“ არ სჭირდება. ის მუდმივად აწვდის მსმენელს საინტერესო ინფორმაციას ამა თუ იმ მომღერლისა და ჯგუფის შესახებ, მაგრამ ბევრ ქართველ შემსრულებელს, როგორც წესი, გვერდს უვლის ხოლმე. მოდით, ამჯერად ვათქმევინოთ, რას ფიქრობს რადიო „ფორტუნას“ მუსიკალური წამყვანი რამდენიმე პოპულარულ მომღერალზე.

**– გიგა კვენეტაძე „ტანჯული“ ბიჭია. ბლუზის შემსრულებელი რომ იყოს, ამდენი ცრემლი გასაგები იქნებოდა, რადგან ბლუზი სევდის, ტკივილის მუსიკაა. პლანტაციებში მომუშავე ზანგები მუსიკით გამოხატავდნენ თავიანთ ტკივილს. ასე წარმოიშვა ბლუზი. რაც შეეხება დღევანდელ სოულს, ის მხიარულია, ეროტიკულიც. კვენეტაძე კი ძალიან ბევრს ტირის.**

თემო კვირველიას არ სურს, რაიმე თქვას **ლელა წურწუმიაზე**, რომელიც არ მოსწონს – არც როგორც ქალი, არც – როგორც მომღერალი. მისგან განსხვავებით, ერთ-ორ ტკბილ სიტყვას იმეტებს **ნინი ბადურაშვილისთვის**:

**– მის მუსიკაში, ასე თუ ისე, ხარისხი იგრძნობა, თანაც ლამაზი გოგოა.**

თუმცა, თუ გარეგნობაზე მიდგა საქმე, ამ მხრივ, ყველაზე მეტად **ქრისტინე იმედაძე** მოსწონს.

**ირაკლი ჩარკვიანმა** რომ მეფე დაირქვა, ეს თემო კვირკველიას ეპატაჟად მიაჩნია, რაც შეიძლება, სცენას სჭირდებოდეს კიდეც. ჩემი რესპონდენტის აზრით, ირაკლი ნიჭიერი, განათლებული და გემოვნებიანი ადამიანია.

DJ თემოს ადრე უფრო მოსწონდა **ნინო ქათამაძე,** მაშინ, როცა



– უფრო ემოციურ სიმღერებს ასრულებდა. ნიჭიერი მომღერალია. თავიდანვე ვთქვი, ქათამაძე ჯენის ჯოპლინის ქართული რეინკარნაცია არისმეთქი.

თემო კვირკველიას უმაგრამოდ და უთუმცაოდ მოსწონს ელექტრონული მუსიკა. რაც შეეხება ჯგუფებს, ერთ ახლადგამოჩენილ, უცნაური სახელის მქონე ჯგუფს გამოჰყოფს:

**– „ჯაზი ან კატა“ პერსპექტიული ჯგუფია.**

ამ ჯგუფზე მას შეუძლია, საკმაოდ დიდხანს ილაპარაკოს, ამიტომ ერთი წინადადების ჩართვით შევაწყვეტინებ – ამბობენ, „მუმი ტროლს“ ჰგავსო. ამაში თემო კვირკველია პრობლემას ვერ ხედავს.

**– ახალი ჯგუფია, ჯერ პირველი ალბომი იწერება. თავიდან ყველა დიდი მუსიკოსი ვიღაცის გავლენის ქვეშ იყო.**

ამის დასადასტურებლად მას უამრავი მაგალითის მოტანა შეუძლია, რაც შორს წაგვიყვანს. **ნიაზ დიასამიძე** თუ მოსწონს?

**– კარგი პიროვნებაა, ვარსკვლავური სენით არ არის შეპყრობილი. თუ მისი სიმღერა არ მომეწონა, თავად მაინც არ გამაღიზიანებს. ზოგჯერ კარგი სიმღერაც გამოსდის. ტექსტის თვალსაზრისით კი მისი შემოქმედება ამინდის პროგნოზია.**

თუმცა, ტექსტებთან პრეტენზიები ჩემს თანამოსაუბრეს ნაკლებად აქვს ხოლმე, ჩემგან განსხვავებით.

**– მუსიკა მომეწონოს და ნებისმიერ აბდაუბდას მოვისმენ, თუნდაც „პრავდას“ სტატია წამიკითხონ.**

კარგი მუსიკისა და სუსტი ტექსტის მაგალითები: „ლედ ზეპელინი“, „მუმი ტროლი“...

გირჩევთ | რიტა ჩაკვეტაძე

# გინდათ გათხოვება? ატარეთ ვარდისფერი!

გაზაფხულის სუსხიანი, მოსაბეზრებელი დღეები დამთავრდა. დროა, საგაზაფხულო ფერებზე ვიფიქროთ. ვიყოთ ლამაზები, ხალისიანები, მიმზიდველები, შეინტერესებას სხვა გზითაც შეძლებთ.

**სალათისფერი** – თქვენ საწოლამდე ერთი ნაბიჯიღა დაგრჩათ.



ვარჩიოთ ფერები, რომლებიც მამაკაცებს გარკვეულ ინფორმაციას მიაწვდის.

**ღია ცისფერი** – ამ ფერით მამაკაცს ვერ გამოიწვევთ. გულუბრყვილო ადამიანი ჩანხართ.

**ღია ვარდისფერი** – მამაკაცი იფიქრებს, რომ თქვენ მორცხვი ხართ და შემოგთავაზებთ, იყოთ აქტიური.

**ვარდისფერი** – რომანტიკული ფერია, გათხოვების სიმბოლო.

**თეთრი** – მამაკაცებს დანახვისთანავე აღუძრავთ ინტერესს.

**ყვითელი** – თუ გინდათ, რომ თქვენი რჩეულის გული ხშირად ააძგეროთ, ჩაიცვით ყვითელი ფერის. თუმცა, თუ ჩემსავით არც თქვენ მოგწონთ ყვითელი ფერი, ნუ სწუხხართ, მამაკაცის და-

**წითელი** – ყოვლის მომცველი ვნება. წითლად შემოსილი ქალი აქტიურია და მხოლოდ სექსუალურ ურთიერთობებზე ფიქრობს.

**შავი** – ყველაზე სექსუალური ფერია. შავებში ჩაცმული ქალი მამაკაცის საოცნებო, სუპერსექსუალურ ქალად რჩება. ამ მოსაზრების თანახმად, გამოდის, რომ ქართველი ქალები მსოფლიოში ყველაზე სექსუალურები არიან, რადგან მათი უმრავლესობა, როგორც წესი, უპირატესობას შავ ფერს ანიჭებს.

**მაგრამ თუ თქვენ ოჯახის შექმნა მართლა გსურთ, ატარეთ ვარდისფერი. თქვენი რჩეული გონებას დაკარგავს და როცა გამოფხიზლდება, შეუღლებული იქნებით!**

მოდა | ლელა დონაძე

# «ძაღლის ფეხების» საიდუმლო...

**ფეხსაცმელს მოდის სამყაროში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. არაელეგანტურმა, უხარისხო ფეხსაცმელმა შეიძლება ნებისმიერ მოდურ და ძვირადღირებულ ტანსაცმელსაც კი დაუკარგოს ხიბლი და დახვეწილობა.**

ფეხსაცმლის საშუალებით შეიძლება, ადამიანის ხასიათი, გემოვნება და ფინანსური შესაძლებლობა ამოიცნო. ასეთი ხუმროbანარევი გამონათქვამიც ხომ არსებობს – მაჩვენე, როგორი ფეხსაცმელი გაცვია და გეტყვი, ვინ ხარ შენ...

ბოლო დროს დიზაინერები კლასიკური ან სპორტული სტილის ფეხსაცმლისგან მკვეთრად განსხვავებულ, უმეტესად უტრირებულ, ზოგჯერ კომიკურ მოდელებსაც ანიჭებენ უპირატესობას. თინეიჯერები კი ორიგინალურობისა და განსაკუთრებული მოდურობის წარმოსაჩენად სწორედ ასეთი ფეხსაცმელებით იწონებენ თავს. ეგრეთ წოდებული „ძაღლის ფეხები“, ანუ „უნტები“ ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია...



თბილისის ქუჩებში ხშირად შეხვდებით გრძელბეწვიანი, უზარმაზარი ჩექმებით მოსიარულე გოგონებს. მათი ფეხები სწორედ რომ კოკერსპანიელის ჯიშის ძაღლის ფეხებს მოგაგონებთ. ერთი შეხედვით, ფეხსაცმლის ეს კომიკური დიზაინი თვალს იტაცებს, მაგრამ ამავდროულად, არაესთეტიურადაც გამოიყურება, ჩვენი ქალაქის თბილი კლიმატისთვის ხომ აბსოლუტურად მიუღებელია... დიზაინერი თათა ვარდანაშვილის თქმით კი, „ძაღლის ფეხები“ მოდური უკვე აღარ არის.



ერთ-ერთი თინეიჯერი გოგონა „ძაღლის ფეხებს“ ულამაზეს აქსესუარად მიიჩნევს და ამბობს, რომ ამ ფეხსაცმლის მთავარი უპირატესობა გრძელ ბეწვში დამალული მაღალი ქუსლია, რომელიც არ ჩანს, სხეულის სილუეტს კი მაქსიმალურად აგრძელებს და, ბუნებრივია, ალამაზებს კიდეც.

გემოვნებაზე არ დავობენ, ერთი კია, „ძაღლის ფეხების“ საიდუმლო ძლიერი სქესის წარმომადგენელთა სატყუარაც ყოფილა...

ქორწინება | ლელა მანაველიშვილი

# შეუღლება – ურთიერთგაცნობის საშუალება?

**ადრეულ ასაკში ქორწინება ბოლო ხანს ძალიან ხშირი და მოდური გახდა, ეს კი, თავის მხრივ, მომრავლებული განქორწინებების წინაპირობაა. საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი არაერთგვაროვანია. უფროსი თაობა ახალგაზრდების ამგვარ გადაწყვეტილებას უპასუხისმგებლობად და გაუაზრებელ ნაბიჯად თვლის, „თინეიჯერები“ კი განქორწინებაში ტრაგედიას ვერ ხედავენ.**

**აქვს თუ არა ასაკს ოჯახის შესანარჩუნებლად მნიშვნელობა? – გვესაუბრება ფსიქოლოგი თეონა ლომთაძე.**

– გასაკვირი არ არის, რომ განქორწინების წინაშე უფრო ხშირად ადრეულ ასაკში შექმნილი ოჯახები დგებიან, რადგან ახალგაზრდა წყვილები ოჯახის შესაქმნელად ფსიქოლოგიურად მზად არ არიან. სიყვარული, ფიზიკური სიახლოვის სურვილი და ქორწინება ხშირად ერთმანეთს არ ეთანხმება, მით უმეტეს, „თინეიჯერობის“ ასაკში.

საქართველოში ახალგაზრდების ფსიქოლოგიურად მოუმზადებლობას ხელს უწყობს ჩვენი უკვე მოძველებული, ტრადიციული დამოკიდებულება ქორწინებისადმი. ირგვლივ ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

ორიოდე თვის წინათ ჩემი ნაცნობი თვრამეტი წლის გოგონა გათხოვდა. როცა ჰკითხეს, როგორია შენი დამოკიდებულება მეუღლისადმიო, ასე უპასუხა: – მე იგი ძალიან მომწონდა და მასთან ფიზიკური სიახლოვის სურვილი მქონდა, თანაც, მაინტერესებდა მამაკაცთან ურთიერთობა და ყოველმხრივ გაცნობა. თუ ვერ შევეწყობი, რა პრობლემაა, გავშორდებიო.

რაკიღა ჩვენს ქვეყანაში ხშირად ქორწინების გარდა არ არსებობს ურთიერთგაცნობის სხვა საშუალება, იქმნება პარადოქსი – ის, რასაც ყველაზე მეტად ვუფრთხილდებით ადამიანები (ქორწინება, ოჯახი), უფრო ადვილად ხელწამოსაკრავი გახდა.

განქორწინების მიზეზი ხშირად ინტიმური შეუთავსებლობაც ხდება, თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ეს თემები ახალგაზრდა წყვილებთან საუბრისას ტაბუირებულია. ისინი ცდილობენ სხვა სფეროს „გადააბრალონ“ პრობლემა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ქალისა და მამაკაცის არასწორ აღზრდაზე. ცხადია, ამაზეც საზოგადოების მოძველებული შეხედულებები ახდენს გავლენას.

მნიშვნელოვანია ერთი მიზეზიც – როცა ქორწინებამდე წყვილებს ერთმანეთის მიმართ ზედმეტი მოლოდინი უჩნდებათ, შემდეგ კი იმედი უცრუვდებათ.

აქედან გამომდინარე, ოჯახი უნდა შექმნან ჩამოყალიბებულმა ადამიანებმა, რომლებსაც საკუთარი სურვილების, მოლოდინისა და მოტივაციების გარდა, მეორე ადამიანის შეხედულებების გათვალისწინებაც შეუძლიათ.

წყვილის ურთიერთობის რღვევას ხშირად მესამე პირის ჩარევაც იწვევს. ორის ურთიერთობა იმდენად ინდივიდუალურია, რომ ექსპერტად მესამე ვერ გამოდგება.

თუ გვინდა, თავიდან ავიცილოთ ასე მომრავლებული განქორწინებები, მთლიანად უნდა შეიცვალოს ჩვენი დამოკიდებულება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობისადმი...

**გვერდის მასალები მოამზადეს „საქართველოს რესპუბლიკის“ ახალგაზრდა ჟურნალისტებმა: რუსუდან გახარიამ, რიტა ჩაკვეტაძემ და ლელა მანაველიშვილმა.**

**სახელოვანი მშობლები**

# კაცი, რომელმაც პარიზში ცხოვრებას დუშეთის მაზრაში მასწავლებლობა არჩია

**იყო ამქვეყნად დიდებული გვარიშვილი და მამულიშვილი, პედაგოგი, განმანათლებელი, მწერალი და პუბლიცისტი დავით ჩხეიძე — თელაველი, ვარდისუბნელი კაცი, რომელიც მდინარე თურდოს პირას დაიბადა XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში. იქ იგრძნო მშობლიური სითბო, მამულის განუზომელი სიყვარული და, მოგვიანებით, სწორედ თურდოსპირელი დაირქვა ფსევდონიმად. დღეს, დავით თურდოსპირელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, უფროსი თაობის შემოქმედებითი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის გარდა, სამწუხაროდ, არავინ იცნობს, ამიტომაც ვთხოვეთ მის ერთ-ერთ ქალიშვილს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში რუსთაველის თეატრის ერთ-ერთ წამყვან მსახიობს (მარტო მისი ოფელიას სახის გახსენება რად ღირს სპექტაკლ „ჰამლეტში"), ქალბატონ ლამზირა ჩხეიძეს, მოეგონებინა ზოგი რამ მამის ცხოვრებიდან, რაც დღევანდელ მკითხველს და, მეტადრე, ახალგაზრდობას დააინტერესებს.**



— მამა რომ გარდაიცვალა, მე თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. ცივი ზამთარი იდგა, ისე ვიწროდ ვცხოვრობდით ავლაბარში, რომ ჩვენი ბინიდან გასვენება შეუძლებელი გახდა. აგდნენ ბიჭიკო ჩხეიძე (მამაჩემის ძმისშვილი), გიორგი გეგეჭკორი, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ საღარაძე... კიდევ რამდენიმე კაცი (აღარ მახსოვს) და ძმის — გიორგი ქუჩიშვილის ბინაში გადაასვენეს ცხედარი. იქიდან დავკრძალეთ ცხონებული მამაჩემი. არადა, ამ კაცმა, გასული საუკუნის 40-იან წლებამდე, თავისი კვალი დააჩნია საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას. კიევის უნივერსიტეტდამთავრებული, სამოქალაქო ომგამოვლილი, საქართველოში ჩამოვიდა თუ არა, ჩაება ეროვნულ მოძრაობაში, იყო მენშევიკი, აღმერთებდა ჟორდანიას და 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელი აქვს მოწერილი... როდესაც რუსის ჯარი საქართველოში შემოვიდა და ჟორდანიას მთავრობა ემიგრაციაში გაემგზავრა, მამაჩემმა პარიზში წასვლას საქართველოს სოფლებში მასწავლებლობა არჩია...

**— პროფესიით მასწავლებელი იყო, ქალბატონო ლამზირა?**

— დიახ, ოღონდ, მწერლური ნიჭი მომადლებული ჰქონდა და ჯერ კიდევ 1906 წელს ცალკე წიგნად გამოსცა პირველი მოთხრობა „თავისუფლების მსხვერპლნი", რომელშიც უკვე ჩანდა მისი სულის მშფოთვარება, განცდები, რაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხებით იყო გამოწვეული. წიგნის ტირაჟის დიდი ნაწილი მაშინვე დაწვა ჟანდარმერიამ, ავტორს კი მხეცურად გაუსწორდა. არაადამიანურმა მოპყრობამ როდი მოადუნა, პირიქით, კიდევ უფრო განამტკიცა ახალგაზრდა მწერლის ნებისყოფა, მან რამდენიმე რევოლუციური სიმტკიცით გამსჭვალული ლექსი გამოაქვეყნა, მაგრამ საბოლოოდ პოეტური სიტყვა თავის ძმას, პოეტს გიორგი ქუჩიშვილს დაუთმო სასპარეზოდ, თვითონ კი პროზაში განაგრძო მუშაობა, გაზეთ „ერთობის" თითქმის ყველა ნომერი სავსეა მისი ცინცხალი ცხოვრებისეული მინიატურებით, საბავშვო, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული მოთხრობებით, ბოლშევიკებისადმი, შეიძლება ითქვას, ზიზღით, ირონიითა და სატირით აღსავსე წერილებით, მკაცრი პუბლიცისტიკით, საშინაო მიმოხილვებით... თქვენ წარმოიდგინეთ, მოგვიანებით დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭეს და, მიუხედავად კომუნისტურ წყობასთან დამოკიდებულებისა, მოსწავლეებს ახალი ქვეყნის პატრიოტიზმის ცხოველმყოფელ გრძნობას უნერგავდა, აღვივებდა მათში სიყვარულს ხალხისა და სამშობლოსადმი. იგი სიამაყით ამბობდა: „ჩემი აღზრდილნიც არიან კომუნიზმის მშენებელთა არმიაში, ჩემს სიმდიდრეს შეადგენს მათგან მიღებული თბილი წერილები".

პირადი კეთილდღეობა ყოველთვის მივიწყებული ჰქონდა, მუდამ სხვათა ბედზე ფიქრობდა გულისხმიერი მასწავლებელი. პირველ რიგში კი ხელმოკლე მოსწავლეებზე ზრუნავდა, სვანეთი იყო ეს, დუშეთის მაზრა, თუ შუამთის სკოლა-ინტერნატი... მეორე მსოფლიო ომის დროს ჩვენი ოჯახი მძიმე მატერიალურ პირობებში იმყოფებოდა. სკოლის მეურნეობის ჭირნახულს მამა სკოლაში ინახავდა და თვითონვე ანაწილებდა და ჩვენ ნება არ გვქონდა, ახლოს მივკარებოდით. მან დააარსა თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მან აიძულა სახელგანთქმული მომღერალი ნიკო ქუმსიაშვილი — იმხანად სოფლის მასწავლებელი — ჩაებარებინა კონსერვატორიაში.

ოღონდ, ეს არის, რომ შვილების ფეხზე დაყენებას ვერ მოესწრო მამა. დღეს ჩემი და — მზია — ექიმია, დალი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი. მე კი, უკვე „ჩამოწერილი" მსახიობი (მწარე ირონიით ეღიმება ქალბატონ ლამზირას).

**— როგორი გახსოვთ მამა?**

— საერთოდ, ძალზე მოსიყვარულე კაცი იყო... ნეტა იცოდეთ, რა წერილებს წერდა დედაჩემს — ალექსანდრა კრემინსკაიას... მათზე მთელი ნოველები შეიძლება აიგოს... მე ხომ სულ მასთან ვიყავი, მასთან ერთად ვმოგზაურობდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, არასოდეს დაუშლია უბრალო გლეხის გოგო-ბიჭებთან თამაში და გართობა...

* * *

ამ კაცს მაინც ალმაცერად უყურებდა საბჭოთა ხელისუფლება. მისი წარსული — მენშევიკობა და დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერა, სად დაიმალებოდა, ახლანდელ პატრიოტულ შემართებასაც კარგად ამჩნევდნენ. კი, დამსახურებული მასწავლებლის წოდებაც მისცეს, პერიფერიებში სხვადასხვა სკოლის დირექტორის თანამდებობაც არ დაიშურეს, მაგრამ, მაინც არ ენდობოდნენ, „საბჭოთა პედაგოგის" ყველა სიკეთით მაინც ვერ სარგებლობდა. აკი, დასაწყისში ვთქვით, კუბო რომ დატეულიყო, იმოდენა ბინაც კი არ ჰქონდა თბილისში.

საგულისხმოა ამონარიდი დავით თურდოსპირელის განცხადებიდან საქართველოს სსრ განათლების მინისტრისადმი, რომელიც, ეტყობა, სიცოცხლის ბოლო წლებშია დაწერილი: „ავადმყოფობამ მთლად გამანადგურა, ხეიბრად მაქცია. დაავადებული ვარ პარკინსონით. დამეწყო ავადმყოფობის მძიმე დღეები. ხმა ჩამიწყდა. ჩურჩულსაც კი ძლივს ვახერხებ. მარჯვენა მომიდუნდა, მოძრაობაც მიმძიმს. თითებიც წერისთვის აღარ მემორჩილება... არაა გამოჯანმრთელების იმედი. მოგახსენებთ რა ამას, გთხოვთ აღმიძრათ შუამდგომლობა სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკის პერსონალური პენსიის დამნიშნავი კომისიის წინაშე, რათა მე დამინიშნონ პერსონალური პენსია".

ამ განცხადებაზე პასუხიც არავის გაუცია...

თავის დროზე დავით თურდოსპირელის მოთხრობები იბეჭდებოდა ჟურნალებში — „ჯეჯილში", „ნაკადულში", „ოქტომბრელში", გამოცემულია თხუთმეტიოდე წიგნი, თუმცა მრავალ ჟურნალ-გაზეთში გაბნეული მისი შესანიშნავი შემოქმედება, პედაგოგიური ტრაქტატები თუ მეთოდური ნაშრომები ერთად თავმოყრისა და მოზრდილ კრებულად გამოცემის ღირსია. ეს უთუოდ წაადგება მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

არადა, ეს სულისკვეთება, დიახაც, გვაკლია დღეს.

**ვილენ მარდალეიშვილი.**



**სურათებზე: დავით თურდოსპირელი კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი; დავით თურდოსპირელი ქალიშვილთან — პატარა ლამზირასთან ერთად.**

# გაიხსნა ერაყის პარლამენტის პირველი სესია

**ერაყის დროებითი პარლამენტის პირველი სხდომის დღე დაიწყო აფეთქებებით. ერთი ასეთი აფეთქება მოხდა ბაღდადიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ბაქუბაში, რასაც მოჰყვა კიდევ რამდენიმე აფეთქება თვით ერაყის დედაქალაქში.**

ბაღდადში მოხდა დაახლოებით ხუთი აფეთქება, ეგრეთ წოდებულ მწვანე ზონაში, სადაც განლაგებულია სამთავრობო შენობა-ნაგებობები და ამერიკის საელჩო.

ზოგიერთ მეთვალყურეს მიაჩნია, რომ ეს შესაძლოა ყოფილიყო ნაღმსატყორცნის დაშენის შედეგი.

მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან. როგორც ჩანს, პარლამენტის შენობა არ დაზიანებულა, რადგან სხდომა მაინც დაიწყო.

ქალაქ ბაქუბაში კი, ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა არმიის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან. აფეთქების შედეგად დაიღუპა სამი ერაყელი ჯარისკაცი, არიან დაჭრილებიც.

ერაყის დროებითი პარლამენტი მართავს თავის პირველ სხდომას. უდიდესმა საპარლამენტო ფრაქციებმა ჯერჯერობით ვერ შეძლეს თანხმობის მიღწევა კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ.

ქვეყნის ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ საკითხში კომპრომისს მიაღწევდნენ პარლამენტის პირველი სესიის გახსნამდე, მაგრამ მოლაპარაკებები ჯერ კიდევ გრძელდება, მართალია, არჩევნების შემდეგ უკვე თვენახევარი გავიდა. მაგრამ მხარეები მაინც იტოვებენ იმის იმედს, რომ მარტის დამლევამდე მიაღწევენ მორიგებას.

რადგან მთავრობის ფორმირების საკითხი კვლავ ღიად რჩება, სხდომას წმინდა ცერემონიული ხასიათი ენიჭება. დეპუტატები არ აირჩევენ ქვეყნის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს.

მხარეთა წარმომადგენლებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ხალხი მოუთმენლად ელის მათ გადაწყვეტილებას, და ამიტომ, ისინი დათანხმდნენ პარლამენტის პირველი სხდომის გამართვას, რათა ამით მაინც გაუსვან ხაზი რაღაც პროგრესის მიღწევას.

ერაყის შიიტთა გაერთიანებული ალიანსი, რომელმაც საკანონმდებლო კრებაში ადგილების თითქმის ნახევარზე მეტი მიიღო, უკვე რამდენიმე კვირაა აწარმოებს კონსულტაციებს ქურთთა ბლოკთან.

ამ მოლაპარაკების დროს, მთავარი უთანხმოების საგანი გახდა ქურთი მოთარეშეებისა და ქალაქ ქირკუკის შემდგომი ბედი, რომელიც ერაყის ერთ-ერთი უდიდესი ნავთობის მომპოვებელი რაიონის ცენტრში მდებარეობს.



# ამერიკის ბანკებს პინოჩეტთან თანამშრომლობაში ადანაშაულებენ

**ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ქვეყნის მთელ რიგ მსხვილ ბანკებს ადანაშაულებს იმაში, რომ მათ ჩილეს ყოფილ დიქტატორს აუგუსტო პინოჩეტის დართეს ანგარიშების გახსნის ნება, რომელთა მეშვეობითაც იგი ახერხებდა თავისი სიმდიდრის დამალვას.**



ამერიკის შეერთებული შტატების სენატის მიერ მომზადებული მოხსენების ავტორები ადანაშაულებენ Citigroup, Bank of Amerika და შვიდ სხვა საფინანსო დაწესებულებას. გენერალი პინოჩეტი ამტკიცებს, რომ მან ამ ბანკებში გახსნილი ანგარიშები გამოიყენა სახსრების სხვადასხვა ქვეყნებში გადასარიცხად და ოფშორული კომპანიების დაფუძნებისთვის.

დოკუმენტის ავტორების ვარაუდით, პინოჩეტი მიზნად ისახავდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების ხელისუფალთათვის დაემალა დაახლოებით 30 მილიონი დოლარი.

ბანკების წარმომადგენლები, თავის მხრივ, აცხადებდნენ, რომ ანგარიშებს ხსნიდნენ არარსებულ პირთა სახელზე და ისინი აღნიშნავენ, რომ ითანამშრომლებენ გამოძიებასთან.

ჩილეს ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც იძიებენ გენერალ პინოჩეტის საქმიანობას, მას მიიჩნევენ ბრალეულად სახელმწიფო სახსრების დატაცებასა და ადამიანის უფლების არაერთ დარღვევაში: 1970-1980-იან წლებში, როცა ქვეყანას მართავდა პინოჩეტის სამხედრო ხუნტა, დაიღუპა ათასობით ჩილელი.

მოხსენების ავტორთა მტკიცებით, პინოჩეტს ზოგიერთ ბანკთან დაახლოებით მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჰქონდა ურთიერთობა, თუმცა, ახლა ყოფილი დიქტატორის ყველა ანგარიში უკვე დახურულია.

იანვარში Riggs ბანკის ხელმძღვანელობამ თავი ბრალეულად ცნო საეჭვო ოპერაციების განხორციელებაში, რომელშიც ფიგურირებდნენ გენერალ პინოჩეტისა და ეკვატორული გვინეის მთავრობის საბანკო ანგარიშები.

**მეწინავენი**

# საკუთარი კუნძული, ანუ მინი-ევროპა ფონიჭალაში

(მესამე გვერდიდან)

**— საექსპორტოდ თუ გაგაქვთ პროდუქცია?**

— ჯერჯერობით, ძირითადად, ადგილობრივ ბაზარს ვამარაგებთ. თუმცა ჩვენმა ერთმა პრეპარატმა შარშან უკვე გაიარა საკმაოდ რუტინულ-ბიუროკრატიული პროცედურა და წლეულს დავიწყებთ მის ექსპორტს რუსეთში. ასევე ვფიქრობთ შუა აზიის ქვეყნების ბაზრის „ათვისებას". მალე დავასრულებთ უზბეკეთში გასატანი ჩვენი 20-მდე დასახელების წამლის რეგისტრაციას. ამასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები გვაქვს აგრეთვე ყაზახეთთან და აზერბაიჯანთან. ასე რომ, წლეულს რეგისტრაციის იურიდიული ნაწილი დასრულდება და მომავალი წელი ნაყოფიერი იქნება ექსპორტის თვალსაზრისით.

გარდა ამისა, ვცდილობთ, რომ გავზარდოთ გამოსაშვები პრეპარატების სია. წლის ბოლომდე უკვე 100-მდე დასახელების წამალს ვაწარმოებთ, მათ შორის ფხვნილებსაც, მშრალ სუსპენზიებსაც და ნოემბრისთვის ბაზარზე გამოვიტანთ.

**— ბატონო გიორგი, ფარმაცევტულ ბაზარზე რა მოცულობით არის იმპორტული წამალი და რა მოცულობით — ჩვენი?**

— საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით ქვეყანაში 47 ფარმაცევტული საწარმოა, მაგრამ დღეისათვის იმპორტული პრეპარატების წილი 95 პროცენტია, ხოლო ადგილობრივი ნაწარმისა — 5. აქედან 2,5 პროცენტი ჩვენი ქარხნის ნაწარმია.

**— ვინ გამოწმებთ, ვინ არის თქვენი აუდიტორი?**

— კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ შრომა დაგვიფასდა, ჩვენი საწარმოს ხარისხის სისტემამ გაიარა საერთაშორისო სასერტიფიკაციო აუდიტი. შეგვამოწმეს გერმანელმა ექსპერტებმა და ჩვენს საწარმოს მიენიჭა საერთაშორისო სერტიფიკატი — „ISO 9001:2000". ამ სერტიფიკატს ანიჭებს სტანდარტების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ჟენევაშია (შვეიცარია) განთავსებული. მსოფლიოს ყველა წამყვანი ორგანიზაცია და საწარმო ცდილობს მისი სერტიფიკატის მოპოვებას. ურომლისოდაც შეუძლებელია პროდუქციის გაყიდვა მოწინავე ქვეყნებში.

**— როგორც შევიტყვეთ, თქვენ საერთაშორისო აუდიტორი ხართ...**

— დიახ, ასეა. მინდა გითხრათ, რომ პროდუქციის წარმოების გარდა, ჩვენი კომპანია ხარისხის სისტემების დანერგვის ცენტრია, — ქვეყანაში ნერგავს ახალ მიმართულებებს და ახალ სტანდარტებს ჩვენს სფეროში.

შარშან, სექტემბერში კომპანიის ინიციატივით სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" 3 დღეს მიმდინარეობდა I საერთაშორისო კონფერენცია „GMP კავკასიისთვის". კონფერენციის მიზანი იყო კავკასიის ქვეყნების ფარმაცევტული კომპანიების, სამედიცინო პროდუქციის მეწარმეებისა და ჯანდაცვის სფეროს მუშაკებისთვის გაეცნო „სათანადო წარმოების პრაქტიკის" პრინციპები, დოკუმენტაციისადმი წაყენებული მოთხოვნები, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ასპექტები და ამ სისტემაში მენეჯმენტის პასუხისმგებლობის საკითხები.

საქართველოში პირველად გამოვეცით GMP-ის სახელმძღვანელო, დასაბეჭდად ვამზადებთ კიდევ რამდენიმე გამოცემას. მზად ვართ, ყველა მსურველს გავუზიაროთ ჩვენი ცოდნა.

ერთი სასიამოვნო ფაქტი მინდა აღვნიშნო: კარგა ხანია, რაც გალღვა უნდობლობის ყინული, მოსახლეობისა და ექიმების დიდი ნაწილი იცნობს და აფასებს ჩვენს პროდუქციას.

**— რა მდგომარეობაა ჩვენს ფარმაცევტულ ბაზარზე?**

— უნდა ითქვას, რომ ფარმაცევტული ბიზნესი ერთ-ერთი ყველაზე მოწესრიგებული და გამჭვირვალე სფეროა ქვეყანაში. თუმცა არის ხარვეზებიც.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას აქვს კარგი „წამლის კანონი", სახელმწიფომ ვერ ჩამოაყალიბა საჭირო მიდგომები. საქართველო ევროპასთან ჰარმონიზაციას ესწრაფვის, ამიტომ ჩვენი საკანონმდებლო სფეროც მისას უნდა შეესაბამებოდეს. არადა, დღემდე არ არსებობს ფარმაცევტული წარმოების მომწესრიგებელი კანონქვემდებარე აქტები, რაც საქართველოს მეწარმეებს თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით გათვლილი საწარმოს გახსნის საშუალებას არ მისცემს. სწორედ ამის გამოა, რომ 47 საწარმო ლიცენზიაა გაცემული, რომელთაგანაც მხოლოდ 5-6 თუა საწარმოს შესაფერისი.

**— „ჯი-ემ-პი"-ს სტანდარტს ჩვენთან რომელიმე საწარმო „უახლოვდება"?**

— არა. საერთაშორისო სტანდარტით მომუშავე საწარმო ყოფილ საბჭოთა კავშირში, ჩვენს გარდა, მხოლოდ რამდენიმეა ბალტიისპირეთში, რამდენიმეც უკრაინასა და რუსეთში.

ჩვენთან პრეზიდენტის ვიზიტის დროს აღვნიშნე, რომ სახელმწიფოსგან რაიმე განსაკუთრებულ დახმარებას ან შეღავათებს არ მოვითხოვთ. ერთადერთი, რაც გვინდა, არის ის, რომ სახელმწიფომ შექმნას თავისუფალი კონკურენციის ბიზნეს-გარემო.

ყველგან, ნებისმიერი თავისუფალი ეკონომიკური ბაზრის მქონე პირობებში ფარმაციის დარგი სახელმწიფოს კონტროლს არის დაქვემდებარებული, რაც რევიზიას კი არა, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე — თანადგომას გულისხმობს. GMP-იც ამის კარგი მაგალითია. ჩემი აზრით, თუ კარგად წარიმართება სახელმწიფო პოლიტიკა, სწორ მიმართულებას აიღებენ ევროპასთან ურთიერთობაში, მაშინ, ჩვენთან ბევრი რამ სწრაფად მოწესრიგდება და გვექნება ცივილიზებული ფარმაცევტული ბაზარი. მზად ვართ, ამ საქმეში პირიქით, დავეხმაროთ სახელმწიფოს.

**— თქვენს კომპანიაში რამდენი ადამიანია დასაქმებული?**

— 50 თანამშრომელი საწარმოო პროცესშია ჩართული, გვყავს ადმინისტრაცია, სამედიცინო წარმომადგენლები, მარკეტინგის განყოფილება, დაგეგმვის განყოფილება. მთლიანად 200-მდე კაცია (თანამშრომელთა მინიმალური ხელფასი 300 ლარია, კვალიფიკაციის მიხედვით იმატებს). სამედიცინო წარმომადგენლები გვყავს ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და თელავში. ეს საკმაოდ ვრცელი და რთული სტრუქტურა, ყველაზე მთავარი, ჩვენი კომპანიის ნამდვილი ხერხემალი, რითაც განსაკუთრებით ვამაყობთ, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაა თავისი ყველა კომპონენტით.

**— ბატონო გიორგი, მცენარეული პრეპარატების დასამზადებლად ალბათ ადგილობრივ ნედლეულს იყენებთ?**

— სამწუხაროდ, არა. ამას წინათ გამართულ გამოფენაზე — „დამზადებულია" საქართველოში — პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მკითხა, შეიძლება თუ არა ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება და თუ არა, რა მიზეზითო.



საქართველოში მდიდარი სამკურნალო ფლორაა, მაგრამ, როდესაც გარკვეული ექსტრატებისთვის ნედლეულის მოძიება დავიწყეთ, აღმოჩნდა, რომ მისი სამრეწველო მასშტაბით დამუშავების ინფრასტრუქტურა არ არსებობს და ამიტომ, სამწუხაროდ, ჩვენი სტანდარტისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, ამიტომ ზოგიერთი საჭირო ექსტრაქტი შემოგვაქვს იტალიიდან, გერმანიიდან და შვეიცარიიდან, სადაც სამკურნალო ბალახები პლანტაციების სახით მოჰყავთ და სტანდარტის შესაბამისად ამზადებენ.

**— ქვეყანაში არსებული სირთულეების მიუხედავად, თქვენთან საათივით არის აწყობილი საქმე...**

— ვცდილობთ. ხანდახან ხუმრობით ვამბობთ, ჩვენს კუნძულზე ვცხოვრობთო, სტუმრებსაც არაერთგზის უთქვამთ, აქ „მინი-ევროპა შეგიქმნიათო".

**— მაინც რა არის საჭირო იმისთვის, რომ ფარმაცევტული ბაზარი საბოლოოდ მოწესრიგდეს?**

— ვიმეორებ, რაკი სახელმწიფო პოლიტიკა ევროპაში ინტეგრაციისკენ არის მიმართული, რადიკალურად უნდა შეიცვალოს ფარმაცევტული საწარმოებისადმი დამოკიდებულება.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— მაგალითად, უკრაინასა და რუსეთში ქვეყნის მეთაურების ბრძანებულებით გარდამავალი პერიოდი გამოცხადდა, რის საფუძველზეც 2010 წლამდე ყველა ადგილობრივი ფარმაცევტული საწარმო GMP-ის სტანდარტზე უნდა გადავიდეს. ყველა საწარმომ ცალ-ცალკე შეიმუშავა თავისი გეგმა, რომლებიც მარეგულირებელ ორგანოს ჩააბარეს, რის საფუძველზეც შეიმუშავეს სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვითაც მუშაობენ.

ჩვენთანაც ანალოგიური გზით უნდა წავიდეთ, რაღაც გეგმა აუცილებლად უნდა დავისახოთ და ისე ვიმუშაოთ.

როცა კონფერენცია ჩავატარეთ და ქართველმა მეწარმეებმა გაიგეს, თუ რას ითხოვს GMP-ის სტანდარტი, არ გაუპროტესტებიათ. ამ სტანდარტზე თანდათან გადასვლა თავიდანვე დიდ რეკონსტრუქციებს არ საჭიროებს. პირველ ეტაპზე გარდაქმნის დასაწყისად საკმარისია თუნდაც დოკუმენტაციის სისტემის შექმნა, პერსონალის მომზადება, შემდეგ თანდათან რეკონსტრუქციის საშუალებაც გაჩნდება და შესაბამისი დანადგარების შეძენისაც. თუ ყველა ვერ შეძლებს ამას, საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის საჭირო სულაც არ არის 47 ფარმაცევტული საწარმო.

ბოლოს დანანებით მინდა აღვნიშნო, რომ „ვარდების რევოლუციის" შემდეგ სხვა დარგში მეტად მნიშვნელოვანი და პროგრესული ნაბიჯები გადაიდგა, ჩვენი დარგის რეფორმა კი იგვიანებს.

ქვეყნისთვის ნამდვილად მისაღები და მომგებიანი იქნება თუ „ჯი-ემ-პი"-ის მოდელის შესაბამისად დაიწყება ფარმაციის დარგის გარდამავალი პერიოდი, შედეგად კი ბაზარიც დარეგულირდება და მოსახლეობა მხოლოდ ხარისხიან წამალს მიიღებს.

* * *

**ენდეთ „ჯი-ემ-პის" პროდუქციას, ის თქვენი ჯანმრთელობის გარანტია.**

**ბელა დურგლიშვილი.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

**გულის ბუხარი**

# [illegible]

(მესამე გვერდიდან)

ასეთ სავალალო მდგომარეობას ემატებოდა ისიც, რომ ხელისუფლება ყოველმხრივ ავიწროვებდა ქართველ გლეხობას. ცნობილია არა ერთი მაგალითი იმისა, როდესაც უმიწაწყლო ქართველ გლეხებს უარს ეუბნებიან აფხაზეთში, აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებში დასახლებაზე და ამ დროს, კერძოდ, 1870 წელს რუსეთის შიდა გუბერნიებში იგზავნება მოსაწვევი განცხადებები აფხაზეთში საცხოვრებლად მსურველთა ჩამოსასახლებლად (А. Н. Дъячков-Тарасов. Абхазия и Сухум в XX столетии. Известия Кавкаского отдела Императорского русского Географического общества, т. XX (1909-1910), N2, Тифлис, с. 196). უფრო მეტიც, მთავრობამ დაიწყო ჩვენი ადგილ-მამულების გაჩუქება. მაგალითად, კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვმა უხსოვარი დროიდან ქართველ მეფეთა სანადირო აჯამეთის ტყე ფრანგ კონსულ ჟაკ ფრანსუა გამბას აჩუქა.

ანალოგიური ვითარება იყო აჭარაშიც. როგორც დ. კლდიაშვილი იგონებს, **„შევიწროვებული იყო ქართველობა, მას ნება არ ჰქონდა, ბათუმის გარეუბანში მიწა ეყიდა და სახლი აეშენებინა. ამის უფლებას მხოლოდ რუსებს აძლევდნენ"** (დ. კლდიაშვილი, თხზულებანი ორ ტომად. ტ. II, თბ. 1981, გვ. 125). ისტორიულად ჩვენი ცხოვრება ისე აეწყო, რომ სხვა ერის წარმომადგენლები ყველაზე საუკეთესო და ნაყოფიერ მიწებზე დასახლდნენ. მიწების მიტაცების პროცესი დღემდე გრძელდება.

ჩვენი დიდი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც მხედველობიდან არ გამორჩენია ეს პროცესი, გულისტკივილით აღნიშნავდა: **„შეუძლებელია უცრემლოდ, მწველი სევდისა და სასოწარკვეთილების გარეშე უმზიროთ საქართველოს აწინდელ მდგომარეობას. ყველაზე მომაკვდინებელ დღეშია ქართველი გლეხობა, ქართველი ხალხის ყველაზე მრავალრიცხოვანი და საუკეთესო ნაწილი. ქართულ მიწას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ურიცხვი მტრების შემოსევებისაგან სამშობლოს დამცველთა მიერ დატოვებული ძვლებისაგან შედგება მთლიანად, ბევრად უფრო სიამოვნებით გადასცემდნენ და ახლაც გადასცემენ ჩამოთესლილ ელემენტებს, ვიდრე ისტორიულ მფლობელთ, აბორიგენებს, ქართველ გლეხობას. მოსახლეობის რიცხვთან შეფარდებით ქართული მიწა ჩამოთესლილთა ხელში ოთხჯერ უფრო მეტია, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებთა ხელში. აქედან მოდის ჩვენი გლეხების მიწის უკიდურესი სიმცირე და უმიწობა".**

დღესაც, არც ისე იშვიათად, როდესაც „ფული ყელს მოიღერებს და გათამამდება", ეროვნული იდეალი დავიწყებას ეძლევა, დუნდება ეროვნული გრძნობა. მდიდარ ქართველს უკვე უჭირს „ქისის გახსნა" ეროვნული საჭიროებისთვის, მას მეტის შოვნის დაუოკებელი სურვილი ცხოვრების მიზნად გაუხდია და ეროვნულ სატკივარს ველარ ამჩნევს. ასეთ გასაცოდავებულ მდიდარს არ ესმის, რომ ყველაზე დიდი საქმე ქვეყნის სიყვარული და მისი ჭირ-ვარამის გაზიარებაა. ზოგიერთი ჩვენი მდიდარი ბიზნესმენი ათასგვარ შოუებს აწყობს, გასართობ, უმეტესად ეროვნულ ფასეულობას მოკლებული უაღრესად იაფფასიან პროგრამებს აფინანსებს და ამით ახალგაზრდების სულიერ სამყაროს ძარცვავს და აღარიბებს. სინამდვილეში ქველმოქმედების საფარქვეშ ყველაფერი კეთდება ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

დღეს, ალბათ, ვერ მოვნახავთ ისეთ მოღვაწეს, რომელიც დავით სარაჯიშვილის ან იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ანდერძის მსგავს ანდერძს დაუტოვებდა შთამომავლობას. ჯერ კიდევ, ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა: **„თითქმის დღეს ყველა შეგნებული ქართველი ამას იძახის: უნდა გავმდიდრდეთ, უნდა სიმდიდრე შევიძინოთ, უამისოდ ფონს ვერ გავალთ, ხსნა არ არის! ეს ნამდვილია, მოსაწონი, მაგრამ არ იქნება თუ არ ვსთქვი: „ვეცადნეთ ფულის შეძენას მხოლოდ ისე კი, რომ ჩვენი ეროვნული იდეალი არ წავწყმიდოთ, სახსარი, ანუ საშუალება მიზნად არ გავიხადოთ და ის აზრი, რომელიც ჩვენმა ერმა უნდა განახორციელოს, მისი წადილი „ჩოთქზე" არ ჩამოვარჩოთ".**

ასეთი გრძელი შესავალი მთავარი სათქმელისთვის დაგვჭირდა. ეკონომიკური განვითარების ყოფილმა მინისტრმა ბატონმა კახა ბენდუქიძემ თბილისში ჩამოსვლისთანავე ტელეჟურნალისტებს განუცხადა: „ყველაფერი უნდა გაიყიდოს სინდისის გარდაო". ცხადია, ზეპირ საუბარში ადამიანს ზედმეტი რამეც წამოცდება, რასაც კაცმა შეიძლება წაუყრუოს, მაგრამ, როდესაც ეს აზრი მინისტრმა რამდენჯერმე გაიმეორა, ნურც იმ ადამიანებს დავძრახავთ, რომლებმაც მის ნათქვამში დიდი ეროვნული საშიშროება დაინახეს.

**ანზორ თოთაძე,**
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

**(დასასრული იქნება).**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 61, ხუთშაბათი, 17 მარტი, 2005 წელი.

# თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს განცხადება

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელმწიფო საუნივერსიტეტო კოლეჯის შესახებ

1995 წლის 4 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო-პედაგოგიური საბჭოს სხდომამ უნივერსიტეტში კოლეჯის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო. 1995 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 27 სექტემბრის №596 გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობამ ფინანსთა, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და იუსტიციის სამინისტროებთან შეთანხმებით ნებართვა გასცა თსსუ-ში დაფუძნებულიყო სამედიცინო კოლეჯი სამეურნეო ანგარიშზე. აღნიშნული კოლეჯის სტატუსი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით უნივერსიტეტის ერთ-ერთ ქვეგანაყოფად განისაზღვრა, ხოლო სასწავლო გეგმით ეს იყო საშუალო სპეციალური სასწავლებელი, სადაც, საშუალო სკოლის სწავლების მესამე ეტაპის გარდა, სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი კურსის სრული პროგრამა ისწავლებოდა. ამავე დებულებით კოლეჯის კურსდამთავრებულებს – ზოგადი პროფილის მედდებს, უფლება ჰქონდათ სწავლა გაეგრძელებინათ უნივერსიტეტის სამკურნალო და პედიატრიის ფაკულტეტების მეორე კურსზე. 1997 წლამდე საქართველოში განათლების კანონი არ იყო მიღებული და სასწავლო პროცესი წარიმართებოდა უნივერსიტეტის დებულებითა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 1996 წლის 4 სექტემბერს რეგისტრირებული იქნა თსსუ-ის წესდება და დებულებების კრებული (02-14/94 წერილი); მასში აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯი სამედიცინო უნივერსიტეტის ერთ-ერთი სასწავლო რგოლია, სადაც ახალგაზრდები საშუალო განათლების მესამე ეტაპთან ერთად მიიღებდნენ სპეციალურ ცოდნას სამედიცინო დარგში. რაც შეეხება უნივერსიტეტში მათი სწავლის გაგრძელების წესს – იგი უკავშირდებოდა კოლეჯის გამოსაშვებ გამოცდებს, რომელთა წარმატებით ჩაბარების საფუძველზე კურსდამთავრებულებს უფლება ეძლეოდათ სურვილის მიხედვით სწავლა გაეგრძელებინათ სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ან პედიატრიის ფაკულტეტის მეორე კურსზე. საკმაოდ რთული მისაღები საკონკურსო გამოცდების შემდეგ კოლეჯში სწავლის პერიოდში სტუდენტები აბარებდნენ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გამოცდებს და ჩათვლებს. კოლეჯი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა დებულებითა და ნორმატიული აქტებით, რომლებიც მიღებული იყო საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ საშუალო და სპეციალური განათლების დარგში.

1999 წლის 11 ივნისს საქართველოს განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების მიერ განახლებულ იქნა საგანმანათლებლო სტანდარტი საშუალო სამედიცინო სასწავლებლებისთვის (სპეციალობა – სამკურნალო საქმე), სადაც საბაზო განათლების ბაზაზე (ცხრაკლასდამთავრებულებისათვის) ზოგადსაგანმანათლებლო საგნების ერთწლიანი სწავლების გარდა მოწოდებული იყო ორწლიანი სასწავლო პროგრამა ზოგადსამედიცინო და სპეციალური საგნების შესწავლაზე ორიენტაციით. 1999 წლის 6 დეკემბერს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოზე მიღებული იქნა კოლეჯის დირექციის წინადადება, რათა საუნივერსიტეტო სწავლების ეტაპებად გარდაქმნის პირობებში კოლეჯში სწავლების პერიოდი ჩათვლილიყო საუნივერსიტეტო სწავლების პირველ ეტაპად (საბაზო სამედიცინო განათლება), ხოლო კოლეჯის კურსდამთავრებულთათვის, გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, ნება მისცემოდათ სწავლა გაეგრძელებინათ სწავლების მეორე ეტაპზე (კლინიკური დისციპლინები) – III კურსიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული იქნა თანხმობა განათლების სამინისტროდან.

1997 წელს მიღებულ საქართველოს კანონში განათლების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ძალაშია, აღნიშნულია, რომ... „საშუალო პროფესიული განათლების მიღება შეიძლება საშუალო ზოგადი განათლების მიღებასთან ერთად ან უამისოდ“ (მუხლი 12); ამასთან, ამავე კანონის მე-40 მუხლის მიხედვით საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გარდა) დაშვებულია „სწავლისას დაჩქარებული კურსის გავლა“. აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად კოლეჯის წესდებაში და სასწავლო გეგმაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რაც, ასევე დამტკიცებულ იქნა განათლების სამინისტროს მიერ.

1999 წელს სახელმწიფოს მიერ სათანადო აქტების საფუძველზე გამოყოფილ იქნა დაფინანსება სამედიცინო საუნივერსიტეტო კოლეჯის საბიუჯეტო სექტორისათვის. აღნიშნული დაფინანსება გათვალისწინებული იქნა 2004/05 სასწავლო წლის ბიუჯეტშიც, რაც განათლების და მეცნიერების სამინისტროს №01-17-0243082, 04.08.2004 წერილშია ასახული.

კოლეჯში საბიუჯეტო სექტორის შექმნის შემდეგ ხელშეკრულება სწავლის პირობების შესახებ ფორმდებოდა მხოლოდ არასაბიუჯეტო სექტორის სტუდენტებთან, საიდანაც კანონმდებლობით დადგენილი თანხის ნაწილი ირიცხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში.

კოლეჯისა და, შემდგომ, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით მუშაობენ ექიმებად როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

კოლეჯის საქმიანობის ამსახველი ინფორმაცია გააჩნდა ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის ინსტიტუციური შეფასების საექსპერტო ჯგუფს, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა თსსუ-ს 2003 წელს. უნივერსიტეტის რექტორის სახელზე აშშ-დან მოსულ განათლების მსოფლიო სერვის-ცენტრის შეფასების დეპარტამენტის დირექტორის წერილში აღნიშნულია, რომ აღნიშნული კოლეჯის დიპლომი, სასწავლო გეგმა და პროგრამა თავსებადია ამ ტიპის დაწესებულებებისათვის აშშ-ში და სასწავლო გეგმით შესრულებული კრედიტები ასევე თავსებადია შესაბამისი უმაღლესი სკოლებისათვის.

2004 წლის 8 დეკემბერს თსსუ-ში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბ-ნ ა. ლომაიას დაესვა შეკითხვა კოლეჯის ფუნქციონირების პერსპექტივაზე, რაზეც მან უპასუხა, რომ სახელმწიფო ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებდა. 2005 წლის 10 იანვარს მიღებულ საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ არსად არის აღნიშვნა სპეციალურ და საშუალო პროფესიულ განათლებამიღებულ პირთა სტატუსზე. ა. წ. 23 თებერვალს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მოსული წერილი, რომლის მიხედვითაც თსსუ-ის კოლეჯის I და II კურსელ სტუდენტებზე ვრცელდებოდა აბიტურიენტის სტატუსი, გახდა საბაბი კოლეჯის სტუდენტთა და მშობელთა პროტესტისა, რაც მათ დააფიქსირეს როგორც თსსუ-ში, ასევე სამინისტროში. ამას მოჰყვა მინისტრის სატელევიზიო გამოსვლა, რის მიხედვითაც კოლეჯის I, II და III კურსელებს ერთნაირი პირობებით უწევდათ მონაწილეობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში, ამისათვის მათ შეეთავაზათ მზადება იმ დისციპლინებში, რაც ერთიან გამოცდებზე ბარდებოდა, ნაცვლად კოლეჯის სპეციალიზებული გამოცდებისა, რისთვისაც სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მზადება. აღნიშნული განცხადებებისა და უშედეგო საპარლამენტო დებატების შემდგომ სამედიცინო კოლეჯის სტუდენტთა და მშობელთა პერმანენტულმა აქციებმა მასობრივი ხასიათი მიიღო.

თსსუ-ის სამეცნიერო საბჭოს წევრები, ვადასტურებთ რა პატივისცემას საქართველოს კანონების, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების იდეის მიმართ, დაბეჯითებით მოვითხოვთ, მიღებულ იქნას სათანადო გადაწყვეტილება, სადაც მოქმედი კანონები სწორად იქნება გამოყენებული და არ შეიქმნება საფუძველი შემდგომი ვნებათაღელვისთვის. კიდევ ერთხელ მოვითხოვთ, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებაში ასახულ იქნას თსსუ-ის კოლეჯის სტუდენტთა სამართლიანი მოთხოვნები და კონსტიტუციური უფლებები.

ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს 91 წევრი.



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს საველე აღჭურვილობის შესყიდვაზე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „პატრიოტის“ განსახორციელებლად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი:**

**ლოტი I:** კარავი – ცეცხლგამძლე, სამფენიანი, თბოიზოლაციით, ანგარის ტიპის, იატაკით, ზომით 6X8X3 მეტრი – 125 ცალი;

**ლოტი II:** საწოლი – ალუმინის გასაშლელი საველე ტიპის – 1250 ცალი.

საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადაა **არაუგვიანეს 2005 წლის 5 მაისი.**

ტენდერში მონაწილეობის მსურველთა მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, **2005 წლის 1-2 აპრილს, 11 საათიდან 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4, ოთახი №315.**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**ყველა იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისთვის.

**ყველა ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:**

ა) განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;

ბ) იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი.

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

მსურველი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი **2005 წლის 2 აპრილის 17 საათამდე** არ წარმოადგენს განცხადებაში მოყვანილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლება 500 ლარის ოდენობის მოსაკრებლის გადახდის შემდგომ, **2005 წლის 4-6 აპრილს, 11 საათიდან 17 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4, ოთახი №315** საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში.

ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს: **ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4, ოთახი 315, ტელ: 92-17-58; 899 75-75-36 შორენა კირვალიძე.**

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;**
**სატენდერო კომისიის აპარატი.**

# მოწვევა ტენდერზე

1. გარდაბნის რაიონის გამგეობა მდებარე: **ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. № 73, ინდ. 1300** აცხადებს ღია ტენდერს მრავალსართულიანი კორპუსების შეკეთების შესახებ და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა 2005 წელი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან **5 კალენდარული დღის შემდეგ 15 სამუშაო დღის ვადაში 9 საათიდან 17 საათამდე,** მისამართზე: **ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. № 73, ინდ. 1300.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადა, რომელიც შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე, განისაზღვრება საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგების დაგზავნიდან არა უმეტეს **15 კალენდარული დღისა.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება, სანაცია, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსხურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**4.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელიც მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

გ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3. ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის;**

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ;

ბ) ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

გ) მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი.

5. განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კლასიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 500 ლარის ოდენობით (ანგ. 303030001. სახალხო ბანკის გარდაბნის საოპერაციო სამმართველოს, კოდი 220101401) ზემომითითებული ვადების შესაბამისად შეეძლებათ მისამართზე: **ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. № 73, 9-დან 17 საათამდე.**

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერსებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: **გარდაბნის რაიონული გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონი: 5-24-46.**

# სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი – კვების პროდუქტები**

| № | დასახელება | განზ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1 | პური | კგ | 75000 |
| 2 | წიწიბურა | კგ | 5775 |
| 3 | ბრინჯი | კგ | 4620 |
| 4 | მაკარონი | კგ | 4620 |
| 5 | კარაქი | კგ | 5775 |
| 6 | ზეთი | ლიტრი | 500 |
| 7 | შაქარი | კგ | 8000 |
| 8 | ტომატი | კგ | 600 |
| 9 | მარილი | კგ | 2310 |
| 10 | კარტოფილი | კგ | 46200 |
| 11 | კომბოსტო | კგ | 11550 |
| 12 | სტაფილო | კგ | 4775 |
| 13 | ჭარხალი | კგ | 2465 |
| 14 | ხახვი | კგ | 4775 |
| 15 | მწვანილი | კგ | 2310 |
| 16 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ | 7000 |
| 17 | თევზის კონსერვი | კგ | 2000 |
| 18 | პილპილი | კგ | 34.65 |
| 19 | კვერცხი | ცალი | 57750 |
| 20 | რძის ფხვნილი | კგ | 2310 |
| 21 | ახალი ხილი | კგ | 11550 |
| 22 | პურის ფქვილი | კგ | 2310 |
| 23 | ჩაი | კგ | 200 |
| 24 | ორცხობილა | კგ | 2310 |
| 25 | ხილფაფა | კგ | 2310 |

კვების პროდუქტები უნდა მიეწოდოს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას ქ. თბილისში, **2005 წლის აპრილიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.**

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთა:**

მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა, საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთა:**

უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისთვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ **2005 წლის 1 აპრილიდან 2005 წლის 5 აპრილის 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი გმირ კურსანტთა ქ. № 1.** დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება **2005 წლის 6 აპრილს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 8 აპრილიდან 2005 წლის 12 აპრილის 18 საათამდე** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი გმირ კურსანტთა ქ. № 1 – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება **ქ. თბილისში 2005 წლის აპრილიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.**

ტენდერი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი გმირ კურსანტთა ქ. № 1. ტ: 893-31-46-28 დავით სისაური, ტ: 57-42-03 კაპანაძე ზაზა.**

**სატენდერო კომისია.**

# ცვლილებები სატენდერო განცხადებაში

**2005 წლის 16 მარტის №60 (5093) გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებულ მომსახურების შესყიდვებზე გამოაქვეყნა განცხადება.**

1. მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა (65 წლის ზევით 6000 პენსიონერის პრევენციული და სამკურნალო მომსახურება, ადგილი – თბილისი). ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ნაცვლად ერთი გამარჯვებულისა, უნდა იყოს „ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული“.

2. „დაუსრულებელი ოსტეოგენეზით (შუშის ბავშვები) დაავადებულ ბავშვთა მკურნალობა“ (22 პაციენტის სტაციონარული მკურნალობა, ადგილი – თბილისი). ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ნაცვლად ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულისა, უნდა იყოს „ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული“.

5. მსხვილ სისხლძარღვთა ქირურგიული მკურნალობის პროგრამა (ათეროსკლეროზით დაავადებული 20 პაციენტის ოპერაციული მკურნალობა. ადგილი – თბილისი). ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ნაცვლად ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულისა, უნდა იყოს „ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული“.

# მოწვევა ტენდერზე

## განცხადება თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატისთვის საჭირო საკანცელარიო ნივთების შესასყიდად ტენდერის გამოცხადების შესახებ

**1. ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს ღია ტენდერს აპარატისთვის საჭირო საკანცელარიო ნივთების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად სატენდერო კომისიის მიერ წინასწარ შერჩეულ პირებს.**

**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე. ტენდერში გამარჯვებულის მიერ საკანცელარიო ნივთების (რომლის სახეობასა და რაოდენობაზე ინფორმაცია პრეტენდენტებს შეუძლიათ მიიღონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე) მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე. შესაბამისი საკანცელარიო ნივთების მიწოდების ადგილია ქ. თბილისის მერია.

**3.** ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 17 მარტის 10 საათიდან 22 მარტის 17 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: **ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი №2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი, ოთახი №-6.**

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**4.2 ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისთვის:**

ა) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს **24 მარტის 10 საათიდან 28 მარტის 17 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №-2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: რუსუდან გელბახიანი – 99-53-26 და გიორგი ბეჟიტაშვილი – 93-37-90, მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი №-2 საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.**

**სატენდერო კომისია.**

## განცხადება თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის შესასყიდად ტენდერის გამოცხადების შესახებ

**1. ქალაქ თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატი აცხადებს ღია ტენდერს აპარატისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესასყიდია:**

- 70 ცალი პერსონალური კომპიუტერი (P4) შემდეგი კონფიგურაციით:

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| CPU | 2.40Ghz/400/256K 478pin Box | Intel/Celeron |
| Motherboard | P4BP-MX | ASUS |
| Memory | DDR DIMM 184pin/ 256MB/ PC2700 | Transcend |
| HDD | 40 Gb 7200RMP | |
| Monitor | 17” Flat /0,22/1024x768 85Hz | |
| LAN | Integrated 10/100 | |
| VGA | Integrated 64MB | |
| Sound | Integrated | |
| FDD | FDD 3.5" 1.44MB | |
| CD Drive | CD-ROM 52x | |
| Power Supply | 300w | ATX |
| UPS | 600W | |
| Mouse | Optical +Eye PS/2 | Genius/ Net scroll |
| Keyboard | KB-06 PS/2 | Genius |
| Speaker | SP-Q06s | Genius |
| Cooler | | Celeron titanum |

- 20 ცალი შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი. სასურველია hp 1010-ის მსგავსი.

2. მიწოდების სავალდებულო ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 50 დღის განმავლობაში. ტენდერში გამარჯვებულის მიერ კომპიუტერული ტექნიკის მიწოდება განხორციელება ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2005 წლის 17 მარტის 10 საათიდან 22 მარტის 17 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: **ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი №2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი, ოთახი №-6.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მათი ხელმძღვანელები 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის.

**4.2 ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ არა უგვიანეს **24 მარტის 10 საათიდან 28 მარტის 17 საათის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი №2, საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.** სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: რუსუდან გელბახიანი – 99-53-26 და გიორგი ბეჟიტაშვილი 93-37-90, მისამართზე ქალაქი, თბილისი, თავისუფლების მოედანი №2 საკრებულოსა და მთავრობის აპარატი.**

**სატენდერო კომისია.**

# ფეხბურთი

# ღიახ, პროფესიული ამბიცია

*კახი ცხადაძე მრავალი ფაქტის გამო უყვარს გულშემატკივარს. თავისი თაობის აღიარებული ლიდერი, ეროვნული ნაკრების პირველი კაპიტანი, „შინდისფერთა“ დაცვის ბურჯი, სიმართლის ყველასთვის პირში მთქმელი, ვაჟკაცური სულის პიროვნება, რომელმაც მოსკოვის „სპარტაკში“ სათამაშოდ გადასვლა მაშინ გაბედა, როცა ძალიან ადვილად შეიძლებოდა ერის მოღალატის იარლიყის დამსახურება, საქართველოს ჩემპიონი (თბილისის „იბერია“), რუსეთის თასის მფლობელი (მოსკოვის „სპარტაკი“) და მესამე პრიზიორი (მოსკოვის „დინამო“), ბუნდესლიგის ბრინჯაოს მედალოსანი (ფრანკფურტის „აინტრახტი“), 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე (დსთ-ს ნაკრები) ფეხბურთელი, რომელსაც ბევრისთვის აუხდენელი ოცნების ასრულება ხვდა წილად – თანამემამულეებთან ერთად ლეგენდარული „უემბლის“ სტადიონი დააჭაშნიკა. დაგვეთანხმებით, ასეთი სპორტული ბიოგრაფიით მხოლოდ ერთეულები თუ დაიკვეხნიან. მიუხედავად ამისა, გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ არავის მოსვლია აზრად, იგი სიმბოლურად მაინც გაეცილებინათ დიდი ფეხბურთიდან. ჩინოსანთა მსგავსად, „პიპინოსთან“ ჟურნალისტებიც ვცოდავთ – კურიოზია, რომ იგი ერთხელაც ვერ გახდა „სარბიელის“ ტრადიციული რეფერენდუმის ლაურეატი, წლის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის გამოსავლენად რომ ეწყობა სეზონის ბოლოს. რას იზამ, ნომენკლატურასა და კონიუნქტურას ჩვენი კოლეგებიც უწევენ ანგარიშს.*

*ტრავმებით გატანჯული 36 წლის ვეტერანი დღესაც ქართულ ფეხბურთში განვითარებულ მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებს – ქვეყნის 19 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ნაკრების თავკაცი ბოლნისის „სიონის“ კონსულტანტიც გახლავთ, თუმცა, არაა გამორიცხული, უახლოეს მომავალში გაცილებით პრესტიჟული დანიშვნის შესახებ ვაუწყოთ მკითხველს. ამჯერად კი გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც გუშინ „თბილისი“ – „სიონის“ მატჩის დროს ჩავიწერეთ.*



### გუშინ

**საქართველოს სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა XVI ეროვნული ჩემპიონატის XXIV ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს: „ლოკომოტივი“ – „ვიტ ჯორჯია“ 1:0, „ტორპედო“ – „ბათუმი“ 1:1, „ზესტაფონი“ – „დილა“ 3:0, „კოლხეთი“ – „დინამო“ 0:2, „თბილისი“ – „სიონი“ 1:0.**

**სატურნირო მდგომარეობა: „თბილისი“ – 49, „დინამო“ – 48, „ტორპედო“ – 44, „ლოკომოტივი“ – 40, „ვიტ ჯორჯია“ – 37, „ზესტაფონი“ – 35, „ბათუმი“ – 27, „კოლხეთი“ – 23, „სიონი“ – 21, „დილა“ – 9 ქულა.**

**20 მარტს XXV ტურში ითამაშებენ: „დილა“ – „კოლხეთი“, „ბათუმი“ – „ზესტაფონი“, „სიონი“ – „ტორპედო“, „ვიტ ჯორჯია“ – „თბილისი“, „დინამო“ – „ლოკომოტივი“.**

– ნამდვილად არ იყო წასაგები თამაში, – მეუბნება კახი, – რაც დავავალეთ, ბიჭების 90-მა პროცენტმა პირნათლად შეასრულა. გათამაშების ლიდერთან მონდომებით ბრძოლისთვის გუნდს მადლობა გადავუხადე.

**– ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი წლეულს სახიფათო ზონის ბინადარია, თუმცა ახალი უფროსობის მოსვლის შემდეგ ვითარება უკეთესობისკენ იცვლება...**

– მართალი ბრძანდებით – კლუბი ჩამოყალიბების სტადიაშია და მისი ინფრასტრუქტურა თანდათან იხვეწება. მეც, ჩემის მხრივ, ვცდილობ მაქსიმალურად დავუდგე გვერდში ჯერაც გამოუცდელ ხელმძღვანელობას – ბევრ ისეთ რამეზე მიწევს სირბილი, რასაც ადრე ვერც კი წარმოვიდგენდი.

**– 19-წლამდელთა ნაკრებზე რას გვეტყვით?**

– მოგეხსენებათ, მის მთავარ მწვრთნელად თებერვალში დავინიშნე, ამიტომ პირველ შეკრებას, რომელიც 24 მარტს დაიწყება 30 კანდიდატის მონაწილეობით, ერთგვარი გაცნობითი ხასიათი ექნება. სხვათა შორის, გუნდს საბრძოლო ნათლობა ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან – „თბილისთან“ სპარინგ-მატჩში ექნება 26 მარტს.

**– როგორ ფიქრობთ, შესწევს თქვენს ნაკრებს წარმატებების მოპოვების უნარი?**

– ქართველებს ნიჭიერი ფეხბურთელები ყოველთვის გვყავდა. მართალია, ამჯერად ვარსკვლავთა დეფიციტია, მაგრამ საიმისოდ, რომ ძლევამოსილად გადავლახოთ შესარჩევი ეტაპი და ევროპის რვა უძლიერეს გუნდში დავმკვიდრდეთ, „მასალა“ ნამდვილად გაგვაჩნია.

**– ამ დღეებში ინტენსიურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ თქვენ უმწვრთნელოდ დარჩენილი თბილისის „დინამოს“ დამრიგებლობის შესაძლო კანდიდატთა შორის მოიაზრებით.**

– თქვენის ნებართვით ამ თემაზე ამჯერად კომენტარს ვერ გავაკეთებ, თუმცა ზოგადად მოგახსენებთ შემდეგს: მე ვარ ადამიანი, ვინც მწვრთნელობა გადავწყვიტე და ვიტოვებ უფლებას, დღეს იქნება თუ ხვალ, დავიკმაყოფილო პროფესიული ამბიცია და „დინამოს“ ან ეროვნულ ნაკრებს ჩავუდგე სათავეში. **ცნობისთვის:** ამჟამად კონტრაქტი არც „სიონთან“ მაკავშირებს და არც 19-წლამდელებთან. აქვე გაგანდობთ ჩემს ოცნებასაც – ესაა ქართული ფეხბურთის აღორძინება, საამისოდ კი პროფესიონალები უნდა დასაქმდნენ.

**– მკითხველისთვის საინტერესო იქნება ეროვნული ნაკრების თქვენეული შეფასება.**

– საუბარს ჩვენი თაობით დავიწყებ: ნიჭიერები რომ ვიყავით, საკლუბო დონეზე თითქმის ყველამ დავამტკიცეთ, თუმცა მთელ რიგ გარემოებათა გამო (მიზეზებს ნუ დამაკონკრეტებინებთ) ნაკრებში ეს ვერ შევძელით. რაც შეეხება დღევანდელებს, ნურავინ მიწყენს და, მართალია, შემადგენლობით ჩვენ ვჯობდით, მაგრამ გუნდურ თამაშში, ვაღიარებ, რომ მათ ჩამოვრჩებოდით.

**– დაბოლოს, ორიოდე სიტყვა ბაჩო ცხადაძესაც შევაწიოთ.**

– ჩემი ვაჟი 1987 წელსაა დაბადებული და ამ დღეებში მოაწერს კონტრაქტზე ხელს თბილისის „ლოკომოტივთან“, სადაც თავიდან მეორე გუნდში ითამაშებს. ვიმედოვნებ, ჩემი გამოცდილება დაეხმარება, რომ რაღაცას მიაღწიოს. სხვათა შორის, ბაჩო თავდამსხმელია და მამის მსგავსად, კარგად თამაშობს თავით (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით).



„თბილისი“ – „სიონი“. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**გია პლატონიშვილი.**

# ცურვა

# ირაკლი რევიშვილი საოლიმპიადო ათვლას იწყებს



**ქალაქ ბროვარში (კიევის მახლობლად) ოთხ დღეს გრძელდებოდა მოცურავეთა უკრაინის ზამთრის ღია ჩემპიონატი დსთ-ს ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით. მეძლებისთვის 1988-1989 წლებში დაბადებული ვაჟები და ორი წლით უმცროსი გოგონები იბრძოდნენ. 400-მდე მოცურავეს შორის ოთხი (ირაკლი რევიშვილი, ლაშა მეტრეველი, ილია მანჯგალაძე და კირილ შირიაევი) საქართველოს წარგზავნილი გახლდათ.**

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელის – ზაზა რევიშვილის 16 წლის ვაჟმა ირაკლიმ. 1500 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში მან ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო 400 მეტრზე მეორე ადგილი დაიკავა. 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ლაშა მეტრეველი მეშვიდე იყო, კირილ შირიაევი მას ორი საფეხურით ჩამორჩა. 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ისინი, შესაბამისად, X და XIII ადგილზე გავიდნენ. 14 წლის ილია მანჯგალაძეს 50 მეტრზე ბრასით ცურვაში 50 მონაწილეს შორის XIII ადგილი ხვდა, სამაგიეროდ, მან საქართველოს და უკრაინის კლასიფიკაციითაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. მანვე 100 მეტრზე ბრასით XI ადგილი დაიკავა, არადა, ორი წლით უფროსებს ეჯიბრებოდა.

უკრაინული ბატალიების შესახებ გვესაუბრება საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირინა მინქულინა.**

– შეჯიბრებისთვის დიღმის ოლიმპიური მზადების ცენტრის 25-მეტრიან აუზში ვემზადებოდით, – მითხრა მან, – წყალხომარდობის ფედერაციისა და სპორტკლუბ „დელფის“ ხელმძღვანელთა შეთანხმების შემდეგ სამი დღე ვაკის განახლებულ საცურაო აუზში ვივარჯიშეთ. ერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ეს არის სამოთხე. დიდი მადლობა იმ ადამიანებს, ვინც ასეთი სპორტული ბაზა შესძინა ჩვენს დედაქალაქს. თბილისის მერიის სპორტის სამსახურის უფროსმა ბატონმა გია უდესიანმა გვითხრა, რომ საქართველოს საუკეთესო მოცურავეები წლის ბოლომდე ვაკის დახურულ აუზში გაივლიან წვრთნას. ეს კი ჩვენთვის დიდი საჩუქარია.

**– უშუალოდ უკრაინის ჩემპიონატზე რას იტყვით?**

– ასპარეზობის დაწყებამდე მასპინძელთა საწყლოსნო სახეობების ფედერაციის პრეზიდენტმა ანდრეი ვლასკოვმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ კარგი იქნება, საქართველოს მოცურავეები სპარინგობას მაინც თუ გაგვიწევენო. შეჯიბრების ორგანიზატორთა გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ღია ჩემპიონატის პირველსავე დღეს ირაკლი რევიშვილმა 400 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ცურვაში მეორე ადგილი დაიკავა და მხოლოდ 0,02-ით ჩამორჩა გამარჯვებულს – უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერს, სპორტის ოსტატ იური დუბრიანსკის. არადა, ამ დისტანციაზე 30 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ირაკლიმ მეორე დღესაც გვასახელა – 1500 მეტრზე ასევე თავისუფალი ყაიდით ცურვაში მასპინძელთა ერთბაშად ორი სპორტის ოსტატი – იგორ ბულდოვსკი და დუბრიანსკი დაჯაბნა და პირველი მიიჭრა ფინიშთან. საგულისხმოა ისიც, რომ უკრაინელები ირაკლიზე ერთი წლით უფროსები არიან.



კმაყოფილი ვარ საქართველოს ნაკრების დანარჩენი სამი წევრის გამოსვლითაც, რაც მთავარია, უკრაინელებიც მოიხიბლნენ ჩვენი მოცურავეებით და რამდენიმე შეჯიბრებაზე მიგვიწვიეს, თანაც, მგზავრობის გარდა, ყველა ხარჯს თავად გაიღებენ. ყოველივე, ცხადია, ჩვენი ერების მრავალსაუკუნოვან მეგობრობასთან ერთად ორივე ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტების თბილი ურთიერთობის გამოძახილიც გახლავთ. ყოველმხრივ ვეცდებით, უკრაინელთა მიწვევა მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის მოსამზადებლად, მოცურავეთა კლასის ასამაღლებლად გამოვიყენოთ.

ბროვარიდან გამომგზავრების წინა დღეს ჩვენთან მოვიდა დონეცკელ მოცურავეთა მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ კოროლიოვი, რომელიც თურმე დონბასელთა ქალაქში ქართულ სათვისტომოსთან და მის ხელმძღვანელთან – ირაკლი მაჭავარიანთან თანამშრომლობს. მანაც მიგვიპატიჟა თავიანთ ტურნირზე, რომელიც აპრილ-მაისში გაიმართება.

**– წლეულს კიდევ რომელ შეჯიბრებებში აპირებთ მონაწილეობას?**

– საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციამ, რომელსაც ბატონი გია უდესიანი უდგას სათავეში, 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშები დაისახა ორიენტირად. აქედან გამომდინარე, აქცენტს, ცხადია, ახალგაზრდებზე გავაკეთებთ. მხედველობაში თუ არ მივიღებთ უკრაინელთა მიწვევას, წლეულს ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში ვიასპარეზებთ: 14-24 ივნისს მოსკოვში მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებზე გამოვალთ, 17-31 ივლისს კი კანადის მსოფლიო ჩემპიონატზე გავემგზავრებით.

**ესაუბრა ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: ირაკლი რევიშვილი; ვლადიმირ კოროლიოვი ქართველ მოცურავეებთან.**


# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო აცხადებს კონკურსს წიაღით სარგებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად.**

— სენაკის რ-ნში, ახალსოფლის თემის ტერიტორიაზე, მდ. ტეხურის მარჯვენა ტერასიდან ინერტული მასალის შესწავლა-მოპოვების მიზნით.

ლიცენზია გაიცემა 1 წლის ვადით. სალიცენზიო ობიექტს დაუწესდება მიწის მინაკუთვნი და მასზე უფლება გაიცემა ლიცენზიასთან ერთად.

წიაღით სარგებლობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი რაციონალურად გამოყენება, წიაღისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

წიაღით სარგებლობის კონკრეტული პირობები დაზუსტდება პრეტენდენტების მიერ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების შესაბამისად.

ლიცენზიის მოპოვების მსურველმა პირებმა სამინისტროს უნდა მიმართონ განცხადებით და წარმოადგინონ დოკუმენტაცია „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

განცხადებები და თანდართული დოკუმენტაცია მიიღება 2005 წლის 23 მარტის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების თარიღი განმცხადებელ სუბიექტებს ეცნობებათ დამატებით. დამატებითი ცნობებისთვის შეგიძლიათ დარეკოთ: 39-91-81.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური.**
**მისამართი: თამარაშვილის 15 ა.**



**2005 წლის 10 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 55-ე ნომერში გამოქვეყნებული სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის“ მიერ გამოცხადებული კონკურსის საიჯარო ფართების ჩამონათვალში რიგ უზუსტობებთან დაკავშირებით ჩამონათვლიდან ამოღებულ იქნას შემდეგი ფართები:**

- №1 აეროვაგზლის სტერილურ ზონაში ფართი (ამჟამად განთავსებულია ბარი) – 85,8 კვ.მ.
- №1 აეროვაგზლის მოფრენის დარბაზის მიმდებარედ:
  – ამჟამად კაფე – 70,0 კვ.მ.
  – ამჟამად საზაფხულო კაფე – 115 კვ. მ.
- №1 აეროვაგზლის გაფრენის დარბაზში ფართი (ამჟამად რესტორანი) – 238,4 კვ. მ.
- სატვირთო ტერმინალი „ლასარეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე საოფისე ფართი – 60,05 კვ. მ.
- სატვირთო ტერმინალი „ლასარეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე საოფისე ფართი – 58,22 კვ. მ.
- აეროპორტის საკონტროლო-სარეჟიმო ტერიტორიაზე ფართი (ამჟამად ოფისი) – 45,13 კვ. მ.

**სანაცვლოდ, საკონკურსო ფართების ჩამონათვალს, დაემატოს შემდეგი ფართები.**

- სატვირთო ტერმინალი „ლასარეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე საოფისე ფართი – 22,47 კვ. მ.
- სატვირთო ტერმინალი „ლასარეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე საოფისე ფართი – 20,64 კვ. მ.



# განცხადება

**სააქციო საზოგადოება თბილისის № 1 „ავეჯის სახლის“ სამეთვალყურეო საბჭო იწვევს აქციონერთა კრებას ა/წლის 8 აპრილს 3 საათზე.**

**დღის წესრიგი:**

1. 2004 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგები.
2. მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.

**მისამართი: მარშალ გელოვანის გამზირი № 36.**

**სამეთვალყურეო საბჭო.**



# კომპიუტერული ცენტრი „მეტეხი“ გთავაზობთ

წიგნების, გაზეთების, ჟურნალების, ავტორეფერატების, ბუკლეტების, პლაკატების, ცხრილების, ეტიკეტების, სავიზიტო ბარათების ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე დაკაბადონებას; ინფორმაციის ჩაწერას ლაზერულ (CD) დისკებზე, გრაფიკული გამოსახულებების, სურათების დამუშავებას.

**ტელ: 48-52-05, 899 97-29-33**
**Email: metekhi_333@posta.ge**



**შპს „ბერდუჯი“ აცხადებს ლიკვიდაციას. ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელ: 76-91-51.**

## ალბომი

# ყველას რამე აქვს სახსოვარი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელ სტუდენტთა ჯგუფი. გადაღებულია 1951 წელს.

მოგვაწოდა ვალიკო სიმონიშვილმა.

## ტკივილი

# რაც ცოცხლებს არ გვეკადრება

### ლადო მესხიშვილის სახელი უყურადღებობას არ იმსახურებს



**ახლახან თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფესორ გოგი დოლიძის თავკაცობით დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ქართული თეატრის გამორჩეული მოღვაწის, მსახიობისა და რეჟისორის ლადო მესხიშვილის საფლავთან, მის დაბადების დღეს, ჩვენი საზოგადოებრიობის ღირსეული წარმომადგენლები შეიკრიბნენ.**

– ასეთი მოუვლელი საფლავი ნამდვილად არ ეკადრება ისეთ მსახიობს, როგორიც ლადო მესხიშვილი იყო. გადავწყვიტეთ, რადგანაც მერიამ და კულტურის სამინისტრომ ამ საქმეს არ მიხედეს, ჩვენ მივხედოთ. საფლავის ქვაც უნდა შეიცვალოს, ხედავთ, რა დღეშია? დამლაგებელს თავის საკუჭნაოდ გადაუქცევია საფლავი, ცოცხი და ყველა საჭირო ნივთი ზედ მიუწყვია. იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი ლადო მესხიშვილის ძეგლი ამჟამად ლიტერატურისა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმშია. იგი აუცილებლად აქ უნდა დაიდგას. ისიც კი არასწორად მიმაჩნია, რომ საფლავის ქვაზე ვლადიმერ (ლადო) ალექსი მესხიშვილი წერია, ერთი სახელი სრულიად საკმარისია, – თქვა ბატონმა გოგი დოლიძემ და დასძინა, რომ მესხიშვილს დარჩა მემკვიდრეები, ისინიც დაგვეხმარებიან და სათანადო ყურადღებას გამოიჩენენ.

შეხვედრაზე ცნობილმა რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ ლადო მესხიშვილის დამსახურებაზე ისაუბრა:

– ლადო მესხიშვილი მთელი ეპოქაა ქართულ თეატრში და კინოში. უდიდესი მსახიობი იყო, კინომატიანემ შემოგვინახა მისი საუკეთესო როლები. იგი ტრაგიკული, ურთულესი როლების შემსრულებელი იყო, მან შექსპირის ნაწარმოებების განსხეულებას დაუდო სათავე...

სამწუხაროა, რომ მის ხსოვნას ბინდ-ბუნდი გადაეფარა. ეს ყველაფერი ყურად უნდა იღონ იმ სამსახურებმა, რომლებსაც კავშირი აქვთ კინოსთან და თეატრთან. გამოკითხვა რომ ჩავატაროთ ქუჩაში, ჩვენი ახალგაზრდობა ვერც გიპასუხებთ, თუ ვინ იყო ლადო მესხიშვილი, – მე გულწრფელ მადლობას ვეუბნები ბატონ გოგის ამ მამულიშვილური საქმის წამოწყებისთვის.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ მსახიობი ზურაბ ყიფშიძე, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობები. მათ აღნიშნეს, რომ ორიოდე წელიწადში ლადო მესხიშვილს დაბადებიდან 150 წელი უსრულდება და საამისოდ სათანადოდ ემზადებიან.

ლადო მესხიშვილის საფლავზე დიდუბის ეკლესიის დეკანოზმა მამა თეიმურაზმა პარაკლისი გადაიხადა.

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა კი დიდი მსახიობის საფლავი ყვავილებით შეამკეს.

ნანა სულავა.

## ინფორმაცია

### ლელაძემ ტაისონს მიბაძა?!

**[illegible] სასამართლევი კახა ლელაძე დააკავეს, რომელმაც აღიარა, რომ ერთი კვირის წინათ ოთხი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მოიპარა.**

ლელაძემ დაკავებისას პოლიციის ინსპექტორს დავით სინაურიძეს ცხვირის წინა ნაწილი მოაჭამა.

ადრე კახა ლელაძემ, ასევე დაკავების დროს ერთ-ერთ სამართალდამცველს თურმე ყურიც მოაჭამა.

### გაზმომარაგება დროებით შეუწყდებათ

**დღეს გლდანის მასივს, გლდანულასა და სოფელ გლდანს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდებათ.**

როგორც ინტერ-პრესს დედაქალაქის გაზგამანაწილებელი კომპანია „თბილგაზის“ ცენტრალურ სადისპეტჩეროში განუცხადეს, გაზმომარაგების დროებით შეწყვეტა მისი მიწოდების გაუმჯობესებასთან არის დაკავშირებული, რადგან კვანძურ ქსელში შეჭრითი სამუშაოები უნდა ჩატარდეს.

“ბუნებრივი აირის მიწოდება გლდანის მასივის, გლდანულისა და სოფელ გლდანის მოსახლეობას დღეს 18 საათისთვის აღუდგება“, – განაცხადეს ცენტრალურ სადისპეტჩეროში.

ინტერ-პრესი.

## გიხაროდენ!

# 16 დღეში — 61 სიცოცხლე



**დედაქალაქის გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე № 225 მდებარეობს კლინიკური სამედიცინო ცენტრი (ყოფილი პირველი სამშობიარო სახლი, გენერალური დირექტორი მანანა შარაშიძე). აქედან რეგულარულად გვაწვდიან ხოლმე სასიხარულო ცნობებს.**

– გვიხარია ყოველი ჩვილის დაბადება. ჩვენთან პირველი მარტიდან 16-ის ჩათვლით 61 ჯანმრთელი ბავშვი დაიბადა, ზოგი უკვე გაეწერა და შინ ჩვილის შეძენით გამოწვეული სიხარული შეიტანა, გვაცნობა მიმღების განყოფილების გამგემ თამარ ალექსანდრიდიმ – მელოგინეთათვის ჩვენთან ყველა პირობაა შექმნილი, მათ დასახვედრად მუდამ მობილიზებული ვართ.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

**– წარმოება, სადაც ვმუშაობ, სახელმწიფო საკუთრებიდან გაიყიდა და გადავიდა კერძო მესაკუთრის ხელში. ვარ რეპრესირებულის შვილი.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, ამჟამად ძალაშია თუ არა კანონი, რომელიც შტატების შემცირებისას უპირატესობას ანიჭებდა რეპრესირებული ოჯახის შვილებს?**

**როლანდ ახვლედიანი.**

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იმ პირთა შვილებსა და მეუღლეებს, რომლებიც უდანაშაულოდ იყვნენ რეპრესირებული და შემდგომში არიან რეაბილიტირებული, შტატების შემცირების ან დაწესებულების რეორგანიზაციის დროს, თანაბარ პირობებში, აქვთ სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება.

**– გთხოვთ, გვიპასუხოთ, არის თუ არა დაწესებული შეღავათი სტუდენტებზე რკინიგზის ან ავტოტრანსპორტით მგზავრობის დროს როგორც თბილისში, ისე რაიონებში?**

**ვახტანგ ხომერიკი.**

– მოქმედი კანონის თანახმად სტუდენტებს რკინიგზის ტრანსპორტით მგზავრობის დროს შეღავათი დაწესებული აქვთ მხოლოდ არდადეგების პერიოდში.

რაც შეეხება ქალაქის ან რაიონის ავტოტრანსპორტით მგზავრობის დროს მათთვის შეღავათები დაწესებული არ არის.

**– გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით განგვიმარტოთ, რა შეღავათებით სარგებლობს შრომის I ჯგუფის ინვალიდი?**

**მერაბ ცერცვაძე.**

– I ჯგუფის ინვალიდებს, რომელთა ინვალიდობაც გამოწვეულია საერთო დაავადებით, ენიშნებათ პენსია თვეში 28 ლარის ოდენობით. გარდა ამისა, თუ I ჯგუფის ინვალიდი ცხოვრობს მარტო, არ მუშაობს და არა ჰყავს კანონით ვალდებული მარჩენალი, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ენიშნება სოციალური დახმარება თვეში 22 ლარის ოდენობით.

მიმდინარე წლიდან შრომის I ჯგუფის ინვალიდებს, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ ბიუჯეტის ხარჯზე, უვრცელდებათ შეღავათები გაზის, წყლისა და საოჯახო ნარჩენების გადასახადის გადახდის დროს.

კიდევ მეტი შეღავათები აქვთ I ჯგუფის ომის ინვალიდებსა და I ჯგუფის უსინათლო ინვალიდებს. ამას ზოგადად იმიტომ გაცნობებთ, რომ თქვენ შეკითხვაში არ არის მითითებული რა მიზეზით არის გამოწვეული თქვენი ინვალიდობა.

**ირინე ლელონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

## ცოტაც გავიღიმოთ...



— თუ შეიძლება, სამი მეტრი სიგრძის ღამის პერანგი შემიკერეთ, — ეუბნება მკერავს ქალი.

— რად გინდათ ასეთი პერანგი?

— ჩემი ქმარი მეცნიერი მუშაკია. ამიტომ მისთვის მთავარია ძიება და არა საბოლოო შედეგი.

* * *

— ვინ გითხრათ, — უყვირის შეფი პირად მდივან ქალს, — რომ, რახან რამდენჯერმე გაკოცეთ და საჯდომზეც ხელი მოგითათუნეთ, ეს სამსახურებრივი მოვალეობისადმი აგდებული დამოკიდებულებისა და საქმის კეთების ნაცვლად ჩხირკედელაობის უფლებას გაძლევთ?

— ჩემმა ადვოკატმა, სერ, — იღიმება მდივანი.

* * *

— მიხო, რა არის იგავ-არაკი? — ეკითხება მასწავლებელი.

— რა და, როდესაც ცხოველები ერთმანეთს ელაპარაკებიან. მაგალითად, ღორი და მაიმუნი, როგორც ახლა ჩვენ.

* * *

პოლიტიკის სიახლენი: როგორც იქნა, სახდუმამ პირველი მოსმენით მიიღო ნანატრი „კანონების მიღებისა და ფედერაციის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პრეისკურანტი“.

* * *

— ექიმო, ვგრძნობ, რომ ვკვდები, — ძლივს ლუღლუღებს მიხო. მითხარით, ჩემი ცოლი კიდევ დიდხანს იცოცხლებს?

— ამაზე ნუ ინერვიულებთ, მინიმუმ ოცი წელი.

— მადლობა ღმერთს, იმქვეყნად მაინც დავისვენებ ოცი წლით.

* * *

— რა ღირს ეს ყელსაბამი? — კითხულობს ქალი საიუველირო მაღაზიაში.

— ოცი ათასი ლარი.

— რა კოშმარია! ეს ბეჭედი?

— ორი კოშმარი.

* * *

დაბრუნდა მიხო სახლში. კარი სექსუალურ ქვედა საცვალში გამოწყობილმა მარომ გაუღო, თოკი მიაწოდა და მიბნედილი ხმით უთხრა: „შემკარი და, რაც გსურს, ის გააკეთე“.

მიხომ თოკით ხელ-ფეხი შეუკრა, საწოლზე მიაგდო და... სანადიროდ წავიდა.

## დიდ წინაპართა კვალზე

# ტაძარში კი კელაპტრები ანთია...

**ალბათ მხატვრებსაც ემართებათ ხოლმე ასეთი „სენი“ – თვალს დაადგამენ მავანს და მავანს, დაიწყებენ პორტრეტის ხატვას და მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, მიატოვებენ – გვიან კი მონატრებით მიუბრუნდებიან...**

**წლები კი გადის...**

**მეც ასე მივუბრუნდი ერთი გამორჩეული მანდილოსნის პორტრეტს...**

**ოცდამეერთედან წარსულ საუკუნეში რომ გავიხედავთ, მეოცე საუკუნე დგას ტაძარივით, რომლის ახლო-მახლო საფლავებიცაა და გოლგოთაც... ტაძარში კი კელაპტრები ანთია...**

**ერთი მათგანი თამარ მაჭავარიანია...**

ეს ის პიროვნება იყო, რომლის მიმართ არაერთ ქართველს გამოუთქვამს მადლიერების სიტყვები, რადგან მისი ცხოვრების წესი იყო ამაგდარობა და წიგნის ფერება, რისთვისაც საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება იქნებ ცოტაც კი იყო!..

წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქალბატონი თამარი ე. წ. საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილებას, მისივე თაოსნობით დაარსებულა კავკასიოლოგიის კაბინეტი, შემდგომში ქართველოლოგიის განყოფილებად ცნობილი, მას უმადლოდნენ კოლეგები და მეცნიერები კავკასიოლოგიის გარშემო არსებული ლიტერატურის იშვიათი ფონდისა და მდიდარი ოპერატიულ-საცნობარო – ბიბლიოგრაფიული სამსახურის შექმნას.

ვინც თბილისის ამ წიგნის კერის ხშირი სტუმარი იყო, უსათუოდ ემახსოვრება ეს გამხდარი, უსათნოესი, ტკბილმოუბარი ქალბატონი, რომელიც თავისი მდიდარი ცოდნით თქვენც გამდიდრებდათ!.. ქალბატონი თამარის გარდაცვალების შემდეგ ქართველოლოგიის განყოფილებას ასევე სათნო და ჩინებული წიგნთმცოდნე კლარა რამიშვილი გაუძღვა. საერთოდ, ქვეყნის ეს უმთავრესი ბიბლიოთეკა საჩინო ქალთა კრებულით გამოირჩეოდა ადრეც და – ეს დღესაც ასეა! აქ მარტო წიგნი კი არ უყვართ, არამედ მწერალიც და მკითხველიც – არ დამავიწყდება ჯერ კიდევ საჯაროდ წოდებულ ამ ბიბლიოთეკაში გამიმართეს შემოქმედებითი საღამო, ეს იყო 1981 წელს, ასეთი შეხვედრები მათთვის სულისმოთქმასავითაა იმ თავმიცემული, თავჩაღრილი შრომის შემდეგ, რასაც ეწევიან კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე... ის, რასაც თამარ მაჭავარიანი ქმნიდა, მარიამ დედოფლისა და ანა დედოფლის მწიგნობრულ ღვაწლს გაუტოლდება – „ქართველი ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ სამტომეულის შექმნით მან საძირკველი ჩაუყარა ქართულ ბიბლიოგრაფიულ დარგს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწიგნობართათვის, მეტადრე ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევართათვის და მოიცავს 1852 -1905 წლებს.

თავის დარგში თამარ მაჭავარიანი მის კოლეგებს ისეთივე კორიფედ მიაჩნდათ, როგორც მწერლობაში ილია, ვაჟა, გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, მეცნიერებაში ივანე ბერიტაშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, ივანე ჯავახიშვილი, ანუ ისინი, თავისი შემოქმედებით წარუშლელ კვალს რომ ტოვებენ – ეს გულითადი ქებაა გამოთქმული იმ ნაშრომის წინათქმაში, 90-იან წლებში რომ გამოიცა – თამარ მაჭავარიანი (პირადი ბიბლიოთეკა და არქივი, 1 ნაკვეთი), რომლის შემდგენლებიც არიან ვ. იმნაძე და ნ. ხვედელიანი, ხოლო რედაქტორია კ. რამიშვილი.

თამარ მაჭავარიანის სამოცწლიანი შრომა-ჯაფის შესახებ დარბაისლური სიტყვა მსმენია, აგრეთვე, მისი დიდი ხნის თანამოღვაწე ბიბლიოგრაფისგან აწ განსვენებულ გრიგოლ ზაქარაიასაგან. მანვე მომაწოდა დაი, დღემდე შემოვინახე ფრიად საინტერესო ამონაკრები:

– „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ რვა წიგნად (1866-1904 წ.) – რაც ხანგრძლივი შემოქმედებითი და მეცნიერული შრომის შედეგია.

...ბიბლიოგრაფს რომ ცოდნასთან ერთად ალღოც უნდა გააჩნდეს, ამის შედეგია ის, რისთვისაც ხსენებულ ტომებში თავი მოუყრია ქალბატონ თამარს; მას დაუდგენია არაერთი ხელმოუწერელი სტატიის ავტორი, გაუხსნია ფსევდონიმები, კრიპტონიმები (საიდუმლო ჩანაწერები), და რასაკვირველია, დაურთავს მდიდარი სამეცნიერო აპარატურა. ისევ ბატონ გრიგოლ ზაქარაიას ინფორმაციას ვეყრდნობი:

– ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის დიდი მონაპოვარია გაზეთ „ივერიიდან“ ილია ჭავჭავაძის უცნობი – ხელმოუწერელი პუბლიცისტური წერილების გამოვლინება, დღეს ბევრი მათგანი აღიარებულია ილიასეულ მემკვიდრეობად და განზრახულია მათი თხზულებათა ტომეულებში შეტანა.

... თუ რამდენად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1940 წელს „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ გამოცემა, ამის დასაბუთებაა ივანე ჯავახიშვილის სიტყვები, რომელმაც თურმე პირველ ტომს თავისი სიყმაწვილის ოცნება უწოდა!

...როგორც მახსოვს, ამ დიდტანიან ტომს „ქართული წიგნი“ – ერქვა, – მე პირადად, ძალზე დამეხმარა ეს შრომატევადი წიგნი როგორც სტუდენტობის, ასევე შემდგომ წლებშიც – ისიც მახსოვს, ბუკინისტურ მაღაზიაში რომ შევიძინე. სწორედ ამ წიგნმა მიმიყვანა მის ავტორამდე – ქალბატონ თამარამდე ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ვაგრძელებდი მუშაობას ჩემს სიყვარულიან საკურსო შრომაზე, ერთ-ერთ პირველთაგან მსახიობ ქალ ეფროსინე (ეფრო) კლდიაშვილზე ცნობილი თეატრმცოდნის დიმიტრი ჯანელიძის ხელმძღვანელობით; შემდეგ მისივე თხოვნით ამ წიგნს რედაქტორობა გაუწია პოეტმა-აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა, ჩემს ნაშრომს გამდიდრება სჭირდებოდა და სწორედ ამიტომ მივაკითხე ქალბატონ თამარს – იქნებ დამატებითი წყაროები მიეთითებინა!..



ეს აღმოჩნდა ბედნიერი შეხვედრა, – ეფრო ყიფიანის ქალი იყო, მეორე თავდადებულად წოდებული დიდმოღვაწის – დიმიტრი ყიფიანის უფროსი ძმის – ქაიხოსროს უმცროსი ასული – განათლებული და ამაღლებული ქართული ლიტერატურისა და თეატრის სიყვარულით. ის იყო მე-19 საუკუნის სამოციანი წლების ქუთაისის ჯერ სცენისმოყვარეთა, შემდგომ უკვე პროფესიული თეატრის ფუძემდებელთაგანი, რომლის ნიჭი მეტეორის გამოჩენას შეადარა ქართულმა პრესამ, აკაკი წერეთელი ამ ჩიხტიკოპიანი ქალის საქმიანობას სამაგალითოდ უსახავდა ქართველ მანდილოსნებს საქვეყნო გაზეთ „დროებისა“ თუ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებიდან. ქალბატონმა თამარმა, როცა გაიგო ეფრო კლდიაშვილის შესახებ მქონდა დაწერილი მონოგრაფია, დიდად გაიხარა – თავადაც ქვიშხელ ყიფიანთა სახლიშვილი ყოფილა – ასე რომ, ბევრი სასაუბრო გაგვიჩნდა. მანვე მაჩვენა ხელნაწერი მიხეილ ქორელის მოგონებისა, ეფროს ვაჟზე – საბა კლდიაშვილზე, 1905 წელს რომ გამოექომაგა ოდესელ ებრაელებს, რომლებიც შავრაზმელებმა დაარბიეს და შეეწირა კიდეც ამ თავგამოდებას – მისი სახელი სანთელ-საკმეველივით დახვდათ პარიზში სამკურნალოდ ჩასულ მიხეილ ქორელს და მის მეუღლეს, ცნობილ ქართველ მსახიობს ნუცა ჩხეიძეს – იქაური მკურნალებისთვის ცნობილი ყოფილა ქართველი მეცნიერის ეს გმირობა.

...თამარ მაჭავარიანმა მათი საოჯახო რელიკვიიდან ჩემს ნაშრომს შემოამატა ეფროს და მისი სახელოვანი ვაჟების სიმონის, საბას, ანდრიას და ლუარსაბის საოჯახო პორტრეტი, პირველად ჩემს წიგნში რომ გამოქვეყნდა („ეფრო კლდიაშვილი“ მონოგრაფიული ნარკვევი, 1958 წ.). სიამაყით გაიხსენა, რომ ეფრო მეოცე საუკუნის დასაწყისში გახდა მოწინავე ქართველ ქალთა ამხანაგობის წევრი – ეს ამხანაგობა კი მოწოდებული იყო გამოეცა ქართული საბავშვო ლიტერატურა ცნობილი საზოგადო მოღვაწის მარიამ დემურიას თაოსნობით. ესოდენ კეთილშობილური ჩანაფიქრი ქართული ზღაპრების გამოცემით დაიწყო, რაშიც ეფროც ჩვეული გატაცებით მონაწილეობდა.

...ქალბატონმა თამარმა მაჩვენა ის პირველი ტომი, რომელიც მშობლიურ ქვემხეთში ჩაუტანია თავისი პატარა ძმისშვილიშვილისათვის წარწერით:

**„თამალიკა მაჭავარიანს მისი პაპიდა ეფროსაგან,**

**რომ ქართული საუკეთესოდ ისწავლოს (1902 წ.)“**

ეს სურვილი და წინასწარმეტყველება ეფრო კლდიაშვილისა ახდა – თამარ მაჭავარიანის სახით მე გავიცანი, მართლაც, ჩინებული მოქართულე და მწიგნობარი, და ესეც მენიშნა, – იგი იმ საგანძურის მოლარეთუხუცესი იყო, რომელიც მისმა დიდმა წინაპარმა – დიმიტრი ყიფიანმა უბოძა საქართველოს უმდიდრესი ბიბლიოთეკის სახით.

ნანა ლვინეფაძე.

## დღის კალენდარი 17 მარტისთვის

☼ ამოდის 06.09 ჩადის 18.09

( ამოდის 09.51, ჩადის 01.10

წლის 76-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 289 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

**ხს. ღირსი მამისა გერასიმესი, რომელი იყო იორდანეს (457); მოწამეთა პავლესი და იულიანესი (273); წმიდა გრიგოლისა – კვიპროსის ეპისკოპოსისა; ღირსი იაკობ მმარხველისა (IV). წმიდა კეთილმსახურისა მთავრისა დანიელ მოსკოველის (1303).**

### დაიბადნენ:

1773 – **ჯოზეფ პრისტლი**, ინგლისელი ფილოსოფოსი, ქიმიკოსი, აღმოაჩინა ჟანგბადი, მიიღო ქლორწყალბადი და ამიაკი.

1782 – **ორესტ კიპრენსკი,** რუსი მხატვარი, პუშკინის ცნობილი პორტრეტების ავტორი; გარდაიცვალა 1836 წელს.

1906 – **კლავდია შულჟენკო**, საბჭოთა ესტრადის მომღერალი.

1911 – **ბერნარდ კაცი,** ინგლისელი ბიოფიზიკოსი და ფიზიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1917 – **ჯონ კოუდერი,** ინგლისელი ბიოფიზიკოსი და ფიზიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1921 – **ვასილ სმისლოვი,** რუსი მოჭადრაკე, ჭადრაკში მსოფლიოს მე-7 ჩემპიონი.

1927 – **სულხან ნასიძე,** ქართველი კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1996 წელს.

1930 – **სტივ მაკუინი,** ამერიკელი კინომსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

1603 – **ელიზავეტა** I, ინგლისის დედოფალი.

1882 – **ჰენრი უოდსუორგი ლონგფელო**, ამერიკელი პოეტი.

1905 – **ჟიულ ვერნი**, ფრანგი მწერალი.

1909 – **ჯონ მილინგტონი,** ირლანდიელი დრამატურგი.

1946 – **ალექსანდრ ალიოხინი**, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონი.

1948 – **ნიკოლოზ ბერდიაევი,** რელიგიის ფილოსოფოსი.

1956 – **ირენ ჟოლიო-კიური,** ფრანგი ფიზიკოსი.

1986 – **სოლომონ ყუბანეიშვილი,** ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დაიბადა 1921 წელს.

მედია-ნიუსი.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

თამარ შენგელია, ოთარ, თემურ, ლეილა შენგელიები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა საყვარელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



გუგული აბდუშელიშვილი, ელენე ძნელაძე, ნელი კალანდარიშვილი, ნელი კეპულაძე, ლილი მექვაბიშვილი, იზა კობერიძე, ჟუჟუნა ნიჟარაძე, გულიკო მექვაბიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ შესანიშნავი პიროვნების, ჭეშმარიტი ინტელიგენტისა და საუკეთესო სკოლამდელის, განათლების დამსახურებული მუშაკის,

ეთერ ჩხეიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლეგანიძე.

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

ინდექსი 66434, მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika